



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, დოქტორი აქსელ ბოეტციხერი
პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფ. დოქტ. მერაბ ტურავა
პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი
პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი
პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასისტენტი ანრი ოხანაშვილი (თსუ), LL.M. (იენა)

შინაარსი

სტატიები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის რეფორმირებისთვის – შედარებითი და ევროპულ სამართლებრივი მოსაზრებები

გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს მოსამართლე, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის ლექტორი დოქ. *ვოლფგანგ ბერი*, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორი დოქ. *ედვარდ შრამი*

1

სხვადასხვა

ანგარიში კონფერენციაზე: „ნარკოტიკული დანაშაული და სისხლის სამართლის პოლიტიკა“ – 2018 წლის 2-3 ნოემბერი, თბილისი, საქართველო

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. *თემურ ცეციტიშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

13

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის მეორე პროექტის მესამე სამუშაო შეხვედრის ანგარიში – 2018 წლის მარტი – სტრასბურგი (საფრანგეთი) და ტიუბინგენი (გერმანია)

პაულ ანდრეას გლატცი, სამეცნიერო თანამშრომელი, ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი (იენა)

22

საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ანგარიში, 17 ნოემბერი 2018, თბილისი

სანდრა ბაუში, ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტის დოქტორანტი

25



სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეჯიის
თავმჯდომარე ყოფილი მოსამართლე, დოქ.
ბერნდ ასბროკი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ზესტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტტიხერი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლავრენტი მაღლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)
დოქ. ანეკე პეტცჰე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
საზღვარგარეთისა და სართაშორისო სისხლის
სამართლის ინსტიტუტში, დოქ. იონა რინჩეანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
ტერეზა ტალჰამერი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარის მოადგილე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასისტენტი მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.
(მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

ჟურნალის 2019 წლის პირველი გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:
დავით ჩიხლაძე LL.M. (ბერლინი)
მარიკა ტურავა (ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრი)

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

ასისტენტი-პროფ. სამართლის დოქ. თემურ
ცქიტიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლადო სირდაძე (ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრი)

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა
სამართლის ასესორი მარიო შუტცე

2019 წლის პირველ გამოცემაზე პასუხისმგებელი
პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:
ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ასისტენტი
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის რეფორმირებისთვის – შედარებითი და ევროპულ სამართლებრივი მოსაზრებები*

გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს მოსამართლე, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის ლექტორი დოქ. *ვოლფგანგ ბერი*, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორი დოქ. *ედვარდ შრამი*

I. შესავალი

ქართველი კანონმდებელი, უკვე წელიწადზე მეტია, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმას ახორციელებს¹, რომელმაც პროკურატურისა და დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ მონაცემებზე წვდომა ახლებურად უნდა მოაწესრიგოს. საქართველოს პარლამენტი იძულებული გახდა ეს რეფორმა მას შემდეგ ჩაეტარებინა, რაც 2017 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხის ფუნდამენტური რეგულაციების ნაწილის, სახელდობრ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების ნორმატიული შინაარსი არაკონსტიტუციურად მიიჩნია და ძალადაკარგულად გამოაცხადა. წინამდებარე სტატიაში თავდაპირველად (II. ნაწილი) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება შეჯამებული, რის შემდეგაც (III. ნაწილი) პასუხი გაეცემა კითხვებს, რომლითაც საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსმა, ბატონმა ზურაბ დეკანოიძემ, ამ ნაშრომის ორივე ავტორს მიმართა. შედეგად სტატიის ავტორები პასუხს გასცემენ სამ ნაშრომად კითხვას: ბერი (IV. ნაწილი) შეეხება პირველ და მეორე კითხვებს, რომლებიც სასამართლოს მონაწილეობის გარეშე კომპიუტერული მონაცემების წვდომას ეხება, შრამი კი (V. ნაწილი) მესამე კითხვას, კერძოდ, ევროპული სამართლის მიხედვით ე. წ. კრიტიკული ინფრასტრუქტურული სუბიექტიდან ინფორმაციის წვდომის შეზღუდვის დასაშვებობას, გასცემს პასუხს.

* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა დავით ჩიხლაძემ.

¹ შემდგომში შემოკლებულია, როგორც სსსკ.

II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლთან დაკავშირებით

1. კონსტიტუციური სარჩელი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650, 699 გადაწყვეტილება² საკონსტიტუციო სარჩელებს ეხება, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულის გამო მსჯავრდებული საქართველოს ორი მოქალაქის – ქალბატონი ნ. ხ. და ბატონი დ. ლ. – მიერ იქნა შეტანილი. ამავე დროს, საქმე ეხებოდა ორ განსხვავებულ საქმის გარემოებასა და ბრალდებას: მოსარჩელე ნ. ხ. ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის იქნა მსჯავრდებული (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა) ქვეპუნქტი³), მოსარჩელე დ. ლ. კი პოლიციის თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობის განვივის გამო. ორივე საჩივარი მიმართული იყო სსსკ-ს 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების წინააღმდეგ, რითაც მათ იდენტური სამართლებრივი საფუძველი გააჩნდათ, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ისინი ერთმანეთთან იქნა დაკავშირებული. ორივე მსჯავრდებულმა 2015 წელს მათ წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს მიმართა, რათა მათ ადვოკატებს სისხლის სამართლის პროცესში მათი აზრით ბრალდების შემამსუბუქე-

² გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის მიერ, რომლის შემადგენლობას ოთხი მოსამართლე ლალი ფაფიაშვილი, გიორგი კვერენჩილაძე, მაია კოპალეიშვილი და მერაბ ტურავა მიეკუთვნება.

³ შემდგომში შემოკლებულია, როგორც სსკ.

ბელი კომპიუტერული მტკიცებულებები მიელოთ. მაგრამ შესაბამისმა სისხლის სამართლის სასამართლომ მათ და მათ ადვოკატებს უარი განუცხადა ამ ინფორმაციისა და დოკუმენტების გამოთხოვაზე სსსკ-ის 136-ე მუხლზე მითითებით.

სსსკ-ის 136-ე მუხლის ეს ნორმა სათაურით „დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა“ ნაწილია თავის, რომელიც შემდეგ სათაურს „კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები“ ატარებს. სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი ნაწილი ეხება ინფორმაციასა ან დოკუმენტებს, რომლებიც კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს ინფორმაცია ან დოკუმენტი სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანია, მაშინ: მხოლოდ – პროკურორი არის უფლებამოსილი გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. განჩინების შესახებ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას. ბრალდებულის დამცველი სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველ ნაწილში არ არის მოცემული და ამით, ასეთი განჩინების შეტანის უფლების მქონე პირთა წრიდან იგი გამორიცხულია. ეს ნორმა, როგორც ამას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, დაცვის მხარის მიერ განცხადების შეტანის გამორიცხვაზე უშუალოდ არ მიუთითებს, მაგრამ პროკურატურის ერთმნიშვნელოვანი დასახელება კომპიუტერული მონაცემების მიღების მხრივ ცხადყოფს კანონმდებლის ნებას, ეს უფლება არ მისცეს დამცველს. სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით ფარული საგამოძიებო ღონისძიებებისგან მიღებული ცნობების საკითხი რეგულირდება (მაგ. ბრძანების უფლებამოსილებები, ნაშლისა და შეტყობინების ვალდებულებები). სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით დასახელებული დანარჩენი ნორმები პროკურატურას მოიხსენიებენ როგორც გამოძიების სუბიექტს. შედეგად სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან არ გამომდინარეობს დამცველის ან ბრალდებულის უფლება გამოითხოვოს სასურველი ინფორმაციები.⁴

⁴ საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, II, პარაგრაფი 4, 5, 13-15 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts>)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აგრეთვე დააზუსტა, თუ როგორ უნდა მოხდეს სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი ნაწილით დასახელებული ცნობების „ინფორმაციის ან დოკუმენტების, რომლებიც კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება“ დეფინიცია. ამავე დროს, განისაზღვრა, რომ დოკუმენტად ითვლება ყოველი წყარო, რომელშიც ინფორმაცია სიტყვის, ან/და როგორც ფოტოს, ფილმის, ვიდეოს, ხმის ჩანერის ან სხვა ტექნიკური საშუალების ფორმით არის შენახული.⁵

მოსარჩელე საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის, 42-ე მუხლის პირველი პუნქტის და 42-ე მუხლის მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებებს დარღვეულად მიიჩნევს. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი *in dubio pro reo* პრინციპს ანუ მტკიცებულებების მიმართ წინაპირობებსა და სისხლის სამართლის პროცესში უდანაშაულობის პრეზუმფციას ითვალისწინებს. ამ მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილება პირის ბრალდებისა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მხოლოდ სარწმუნო მტკიცებულებებს უნდა დაეყრდნოს. ყოველი ვარაუდი (ეჭვი), რომელიც კანონის მიერ განსაზღვრული წესების მიხედვით არ დამტკიცდება, ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა იქნეს განმარტებული. კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას უზრუნველყოფს: ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართოს. დაცვის უფლება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტში არის გარანტირებული.

[/judgments/1-1-saqartvelos-moqalaeebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page](http://judgments/1-1-saqartvelos-moqalaeebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page), უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

⁵ საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, II, პარაგრაფი 14 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaeebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>, უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

2. მოსარჩელეთა მსჯავრდება

მოსარჩელეს ნ. ხ. ბრალი დაედო სსკ-ის 236-ე მუხლის მიხედვით და იგი დაკავებისა და ჩხრეკის ოქმებს, ასევე ოთხი პოლიციელის ჩვენებას დაეფუძნა.⁶ მოსარჩელის მტკიცებით, ერთ-ერთი პოლიციელი შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ იმყოფებოდა და, შესაბამისად, დაკავებისა და ჩხრეკის პროცესში არ მონაწილეობდა. მოსარჩელის განმარტებით, პოლიციელის არყოფნა შესაძლოა დადასტურდეს როგორც შემთხვევის ადგილზე განთავსებული სათვალთვალო ვიდეოკამერებით, ისე სატელეფონო კომპანიის საკუთრებაში არსებული ჩანაწერებით. ამის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციები დაკავებისა და ჩხრეკის ოქმების და მის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობისათვის საკმარისი იქნებოდა. თუმცა სასამართლომ ამ პროცესში ნ. ხ.-ს უარი განუცხადა არსებული ინფორმაციის მოთხოვნაზე სადავო სამართლებრივი ნორმის გამო და განმარტა, რომ დაცვას არ გააჩნია უფლება მიმართოს სასამართლოს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციებისა და დოკუმენტების მიღების შესახებ.

მოსარჩელე დ. ლ.-ს ბრალი დაედო სსკ-ის 353-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, კერძოდ, პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის განწევში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების გზით.⁷ მოსარჩელე არ აღიარებს, პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის განწევის ფაქტს და აღნიშნავს, რომ თავდასხმა განხორციელდა პოლიციელთა მიერ, ხოლო მისი

⁶ საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, I, პარაგრაფი 6 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaeqeebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>, უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

⁷ საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, I, პარაგრაფი 14 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaeqeebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>, უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

ქმედებები მიზნად ისახავდა მხოლოდ თავდაცვას. როგორც შემთხვევის ადგილზე, ასევე პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული სათვალთვალო კამერები. თუმცა ამ ვიდეოჩანაწერის ასლის მიღება სადავო ნორმათა მოქმედების პირობებში მან ვერ შეძლო. მოსარჩელემ ჩანაწერთა გამოთხოვის შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, თუმცა მისი შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ აღნიშნული სახის ჩანაწერების გამოთხოვის უფლება მხოლოდ პროკურორს გააჩნია.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში სსკ-ის 136-ე მუხლის ნორმა სამი კონსტიტუციურ სამართლებრივი ძირითადი უფლების, პრინციპების – სამართლიანი სასამართლოს უფლების, დაცვის უფლების და *in dubio pro reo*-ს პრინციპის დარღვევად მიიჩნია და ძალადაკარგულად ცნო.

ა) სამართლიანი სასამართლოს უფლება, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი⁸

სადავო ნორმა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს ზღუდავს, ისე როგორც იგი საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტში არის კონკრეტიზირებული და ამით ამავე დროს არღვევს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტში მოცემულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების გამო ინფორმაციის ყოველგვარი სახის დამახსოვრება და დაარქივება შეიძლება. სისხლის სამართლის პროცესუალური საგამოძიებო ღონისძიებების დროს ამ ელექტრო-

⁸ საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, II, პარაგრაფი 3-23 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaeqeebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>, უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

ნული მონაცემების გამოყენება უფრო და უფრო ინტენსიურად ხდება. ცხადია, რომ სსსკ-ის 136-ე მუხლით სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოთხოვის უფლება დაცვის მხარისთვის შეზღუდულია. მას წართმეული აქვს შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი ელექტრონული ინფორმაციები თავად მოიპოვოს. ამის ნაცვლად, ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პროკურატურაზე, რომელსაც კოდექსის მიხედვით დაცვის მხარის მოთხოვნაზე უარის თქმის უფლება გააჩნია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამავე დროს მიუთითებს – ზოგადად გერმანული სისხლის სამართლის პროცესისგან ფუნდამენტურად განსხვავებულ – ქართული სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებზე: გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში (ქმედების) სასამართლო ქეშმარიტებას იკვლევს და ინკვიზიციურობის პრინციპს აღიარებს (ე. წ. ინკვიზიტორულ-განმანათლებლობითი სისხლის სამართლის პროცესი, რომელსაც ფესვები ნაპოლეონის Code penal-ში გააჩნია).⁹ ამის საწინააღმდეგოდ, ამერიკული სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის გავლენის ქვეშ მოქცეული ქართული სისხლის სამართლის პროცესი შეჯიბრებითობის პრინციპს აყენებს ცენტრში. დაცვის, ბრალდებისა და სასამართლოს როლი მკაცრად არის დაყოფილი.¹⁰ სისხლის სამართლის სასამართლო მხოლოდ „მედიატორის“¹¹

როლს ასრულებს. სასამართლოს არ გააჩნია უფლება თავად მოიძიოს და მოიპოვოს მტკიცებულებები. შედეგად, კომპიუტერული მტკიცებულებების დროს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვება და გამოყენება დისკრეციულ გადაწყვეტილებაზე, პროკურატურის „კეთილ ნებაზე“¹² დამოკიდებული. სასამართლოს მოსაზრებით, ეს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს არღვევს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დაცვის მხარის შესაძლებლობა, მიმართოს სასამართლოს კომპიუტერული მონაცემების ჩხრეკის შესახებ, მაგრამ ეს შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მხოლოდ სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე ფორმალური მითითებით უარყოფილ იქნა, ისე რომ საქალაქო სასამართლომ უარის თქმის მატერიალური საფუძველიც კი არ დაასახელა.

ბ) დაცვის უფლება, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი¹³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამავე დროს მიიჩნევს, რომ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება და კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის დაცვის უფლება, რადგანაც პროკურატურის მიერ კომპიუტერული მონაცემების მოთხოვნის პრივილეგიის შედეგად ბრალდებული პირის შესაძლებლობა, დაიცვას ბრალდების წინააღმდეგ თავი, მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ბრალდების მხარის მტკიცებულებათა კრიტიკული შეფასება ადვოკატის მიერ აქ საკმარისი არ არის. ამავე დროს, საქართველოს პროკურატურა არ არის ვალდებული, ბრალდების შემამსუბუქებ-

⁹ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 244 პარაგრაფის მე-2 აბზაცი: „სასამართლომ ქეშმარიტების დადგენის მიზნით მტკიცებულებათა მოპოვება ყველა ფაქტსა და მტკიცებულებაზე უნდა გაავრცელოს, რომელიც გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანია.“

¹⁰ გადაწყვეტილების II, პარაგრაფი 7-ის ქვეშ, საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, II, პარაგრაფი 14 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaqeebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>, უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

¹¹ საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, II, პარაგრაფი 14 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaqeebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>, უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

¹² საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, II, პარაგრაფი 20 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaqeebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>, უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

¹³ საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, II, პარაგრაფი 24–34 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaqeebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>, უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

ლი გარემოებები გამოიძიოს და წარმოადგინოს.¹⁴ კონსტიტუციურ სამართლებრივად განსაკუთრებით კრიტიკულია ის ფაქტი, რომ დაცვის მხარისთვის არგადაცემული ელექტრონული ინფორმაცია, ბრალდებულის ბრალის ერთადერთი შემამსუბუქებელი მტკიცებულებაა.¹⁵

გ) In dubio pro reo-ს პრინციპი, საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლის მე-3 პუნქტი¹⁶

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს არ გააჩნია მტკიცებულებათა თავისუფალი მოპოვების საინიციატივო უფლება, დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოთხოვის უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ამ მტკიცებულებებს შეუძლიათ პირის დასჯადობის დადგენისთვის გადაწყვეტი როლი ითამაშონ. სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ ნამდვილი, ობიექტურად განხილული და გადამოწმებული მტკიცებულებები უნდა იქნას გათვალისწინებული. სსსკ-ის 136-ე მუხლით კი ეს პრინციპები დარღვეულია. ეს ნორმა, სასამართლოს მოსაზრებით, ახდენს თვითნებურ დიფერენცირებას.

დასკვნის სახით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებელს მიმართავს, რომ სამომავლოდ დაცვის მხარეს შესაძლებლობა მისცეს, რომ სასამართლოს საშუალებით ელექტრონული მონაცემების შესახებ მტკიცებულებები მიიღოს და სანინალმდეგო პოზიციის საფუძველზე იგი

¹⁴ აგრეთვე აქ არსებობს დიდი განსხვავება გერმანულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან, შეად. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი: „პროკურატურამ არა მარტო ბრალის დამამძიმებელი, არამედ მისი შემამსუბუქებელი გარემოებები უნდა გამოიძიოს“.

¹⁵ საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, II, პარაგრაფი 24–34 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaeqebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>, უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

¹⁶ საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, II, პარაგრაფი 35–43 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaeqebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>, უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

გააბათილოს ან დასაბუთებული ვარაუდი გამოთქვას მტკიცებულებათა არასარწმუნოობის შესახებ. სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები შესაბამისად ძალადაკარგულად ცხადდება.¹⁷

III. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საქმეთა კომიტეტის კითხვები

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებები ხორციელდება. ამ ცვლილებებს მიზნად გააჩნიათ არა სსსკ-ის 136-ე მუხლის გადაწყვეტილებასთან მისადაგება, არამედ ტექნიკური უზუსტობების თავიდან არიდება.

1. კომპიუტერული მონაცემების სახეები

საკანონმდებლო პროექტის სამუშაო ვერსიის თანახმად სამომავლოდ სსსკ-ის 136-ე მუხლში კომპიუტერული მონაცემების ხუთ კატეგორიას განასხვავებენ:

ა) ელექტრონული კომუნიკაციის შინაარსობრივი მონაცემები

აქ იგულისხმება იმეილის და სხვა ელექტრონული შეტყობინებების შინაარსი. საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს, რომ აღნიშნული კომპიუტერული მონაცემების მიღების უფლება როგორც ბრალდების ასევე დაცვის მხარეს ექნება, სასამართლო კონტროლის შედეგად, ანუ სასამართლოსადმი შუამდგომლობის წარდგენის სახით. სასამართლო კი ამ შუამდგომლობის შესახებ გადაწყვეტილებას გამოიტანს სსსკ-ის 112-ე მუხლის შესაბამისად.

¹⁷ საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, III, პარაგრაფი 3 (ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaeqebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>, უკანასკნელად ნანახია 24.2.2019).

ბ) ელექტრონული კომუნიკაციის

მაიდენტიფიცირებელი მონაცემები

ეს ცნება მოიცავს მომხმარებელთა მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს; კომუნიკაციის წყაროს კვალის დადგენისა და იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემებს; კომუნიკაციის ადრესატების იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემებს; კომუნიკაციის თარიღის, დროისა და ხანგრძლივობის იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემებს; კომუნიკაციის სახის იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემებს; საკომუნიკაციო აღჭურვილობის ან შესაძლო აღჭურვილობის იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემებს; მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილსამყოფელის იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემებს.

საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს, რომ დასახელებული კომპიუტერული მონაცემების მოთხოვნის უფლებით, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარე სასამართლო კონტროლის შედეგად სარგებლობს, ანუ სასამართლოსადმი შუამდგომლობის საფუძველზე. სასამართლო ამ შუამდგომლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სსსკ-ის 112-ე მუხლის შესაბამისად.

გ) მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები

იდენტიფიკაციის ეს მონაცემები მოიცავს გამოყენებული კომუნიკაციის მომსახურების სახეს/ტიპს, გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებას და მომსახურების დროს, მომხმარებლის ვინაობას, საფოსტო ან საცხოვრებელ მისამართს, ტელეფონის ნომერს ან სხვა საკონტაქტო მონაცემებს, ინფორმაციას ბილინგისა და გადასახადების შესახებ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე არის ხელმისაწვდომი; საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილსამყოფელის ადგილმდებარეობის თაობაზე არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ან სხვა შეთანხმების საფუძველზე არის ხელმისაწვდომი.

საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს, რომ დასახელებული კომპიუტერული მონაცემების მოთხოვნის უფლება გამომძიებელს/პროკურატურას გააჩნია სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე. ამის სანაღმდეგოდ, დაცვის მხარე ამ უფლებით მხოლოდ სასამართლოს კონტროლის/მიმართვის შემთხვევაში სარგებლობს. სასამართლო ამ შუამდ-

გომლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სსსკ-ის 112-ე მუხლის შესაბამისად (ეს საკითხი ამჟამად განიხილება).

დ) საიდუმლო კომპიუტერული მონაცემები

საიდუმლო კომპიუტერულ მონაცემებად მიიჩნევა კომპიუტერული მონაცემები, რომლებიც კომერციულ საიდუმლოებას, საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას შეიცავს, ასევე საქართველოს მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-2 მუხლის ბ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებულ პირად ინფორმაციას ითვალისწინებს, რომელიც რასობრივი თუ ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ რწმენასთან, პროფესიულ გაერთიანებაში წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან არის დაკავშირებული.

საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს, რომ დასახელებული კომპიუტერული მონაცემების მოთხოვნის უფლებით როგორც ბრალდების ასევე დაცვის მხარე სასამართლო კონტროლის შედეგად სარგებლობს, ანუ სასამართლოსადმი შუამდგომლობის საფუძველზე. სასამართლო ამ შუამდგომლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სსსკ-ის 112-ე მუხლის შესაბამისად.

ე) სხვა კომპიუტერული მონაცემები

ყველა სხვა კომპიუტერული მონაცემი, რომელიც ზემოთ დასახელებულ ოთხ კატეგორიაში არ მოიაზრება, მიეკუთვნება სხვა კომპიუტერული მონაცემების კატეგორიას. საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს, რომ დასახელებული კომპიუტერული მონაცემების მოთხოვნის უფლება ბრალდების მხარეს წერილობითი განცხადების საფუძველზე სასამართლო კონტროლის გარეშე და დაცვის მხარეს მხოლოდ სასამართლო კონტროლის შედეგად, სასამართლოსადმი მიმართვის გზით შეიძლება გააჩნდეს. სასამართლო ამ შუამდგომლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სსსკ-ის 112-ე მუხლის შესაბამისად, თუმცა ეს საკითხი ამჟამად განიხილება.

ვ) ვიდეოთვალთვალი

გარდა ამისა ცალკე მუხლი მიეძღვნება წესებს ვიდეოთვალთვალის ჩანაწერების მოთხოვნის შესახებ. საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს, რომ ვიდეოთვალთვალის ჩანაწერების მოთხოვნის

უფლებით როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარე, სასამართლო კონტროლის შედეგად სარგებლობს, ანუ სასამართლოსადმი შუამდგომლობის საფუძველზე. ინფორმაციაზე წვდომა უნდა განხორციელდეს ჩხრეკისა და ჩამორთმევისათვის გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

2. კრიტიკული ინფრასტრუქტურული სუბიექტი

საკანონმდებლო პროექტის მიერ, გარდა ამისა, შემოტანილ იქნა ახალი ცნება „კრიტიკული ინფრასტრუქტურული სუბიექტის“ სახით.

ა) კრიტიკული ინფრასტრუქტურული სუბიექტები

ეს ცნება მოიცავს

აა) სისხლისსამართლებრივი დევნისა და სპეციალური მიზნებისთვის შექმნილ სამსახურებრივ შენობას, შენობებზე საცხოვრებელ შენობას ან სხვა შენობებზე ობიექტს ან ასეთი ორგანოების შენობას, ასევე ამ ორგანოს ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური შენობების/აღჭურვილობის დაცვისთვის განკუთვნილ შენობას, სადაც სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ ინფორმაციის დაცვას საჯარო წესრიგისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია;

ბბ) აეროპორტი და ასევე ყოველი ობიექტი, რომლის ფუნქციაც ნავთობისა და გაზის პროდუქტებთან, ელექტროენერჯის, ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოაქტიურ და ნუკლეარულ პროდუქტებთან არის დაკავშირებული და მათი შეუზღუდავი ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს საჯარო წესრიგისთვის ან საზოგადოებისათვის, მთავრობის ან/და საზოგადოების შეუზღუდავი ფუნქციონირებისათვის.

ბ) დაცვის მხარის მიერ გამოთხოვის უფლების არქონა

საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს, რომ ასეთ ობიექტებში არსებული ვიდეოთვალთვალის (შიდა და გარე) ინფორმაციის გამოთხოვის უფლება დაცვის მხარეს არავითარ შემთხვევაში უნდა გააჩნდეს. გარდა ამისა, საკანონმდებლო პროექტი ითვალისწინებს, რომ დაცვის მხარეს არ

უნდა ჰქონდეს საკუთარი თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული საშუალებით დამახსოვრებული კომუნიკაციის მონაცემების კრიტიკული ინფრასტრუქტურული სუბიექტისგან ინფორმაციის მოთხოვნის უფლება.

საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით დაცვის მხარეს არ გააჩნია შუამდგომლობის უფლება, როცა საქმე ეხება შემდეგ ინფორმაციებს:

- ინფორმაციების მოგროვება და დამუშავება პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის და საპატიმროში მყოფი პირების შესახებ, რომელთაც თავისუფლება აღკვეთილი არ აქვთ. გარდა ამისა, რეგისტრაციის მონაცემებისა და ბრალდებულის/მსჯავრდებულის პიროვნული მონაცემების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სასჯელაღსრულების ორგანოსთან, უსაფრთხოებასთან, სამედიცინო მომსახურებასთან, რესოციალიზაცია/რეაბილიტაციასთან.
- სამინისტროს თანამშრომლების პიროვნული აქტების შესახებ ინფორმაციების შეკრება, დამუშავება, რომელიც დაკავშირებულია მათ სამსახურებრივ მოღვაწეობასა და/ან სამინისტროში მიმდინარე ელექტრონულ ზედამხედველობასა და კონტროლთან.

3. პრობლემის გადაჭრის შემოთავაზებები სამ კითხვასთან მიმართებით

ა) მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემისას სასამართლოს ჩართვის შესახებ

თავდაპირველად გასარკვევია, თუ როგორ უნდა შეფასდეს სამართლებრივად მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, ანუ გამოძიებლის/პროკურორისადმი უბრალოდ ბრძანების საფუძველზე.

კომპიუტერული მონაცემების მე-3 კატეგორიაში ჩამოთვლილი „მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებში“, მაგალითად, მოცემულია ინფორმაცია მომსახურების სახეობისა და ტიპის შესახებ, საფოსტო და საცხოვრებელი მისამართი, ასევე სატელეფონო ნომრები და ინფორმაციები საბანკო ანგარიშის და გადასახადების შესახებ.

ამ ყველა მონაცემის დროს საქმე ეხება მომხმარებლის პირად მონაცემებს, რომლებიც კომუნიკაციის გარეშე იქნა მოპოვებული. ყველა ეს დასა-

ხელეული მონაცემი შეიცავს ინფორმაციას, რომლებიც მომხმარებლის სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ტელეკომუნიკაციის მიმწოდებლის ან სხვა მომსახურების მიმწოდებლის მიერ იქნა მოპოვებული. ასეთი მონაცემების მოპოვებისას სახეზე არის მხოლოდ მომხმარებლის საყოველთაო ქმედების თავისუფლებაში ჩარევა,¹⁸ რომელიც ინფორმაციული თვითგანვითარების შესახებ ძირითადი უფლების კონკრეტული სახეობაა.¹⁹ უფრო ფართო ჩარევა კონსტიტუციურად გათვალისწინებულ სპეციალურ გარანტიებში – როგორც არის სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება – მასთან არ არის კავშირში. ეს მონაცემები, შედეგად, განსხვავებულ უნდა იქნან ელექტრონული კომუნიკაციის შინაარსობრივი მონაცემებისგან კითხვის მეორე ნომრის შესაბამისად ან კითხვის მესამე ნომრის მიხედვით ბრუნვის მონაცემები განსხვავებულ იქნას, რომლის დროსაც სისხლისსამართლებრივი ორგანოებისათვის მონაცემების გადაცემისას ტელეკომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევასთან გვაქვს საქმე.

ა) მონაცემების შესაბამისი კატეგორიები გერმანული და ევროპული სამართლის მიხედვით

1) მონაცემების სახეობა

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ბრძანების მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად²⁰ დასახელებული კომპიუტერული მონაცემების დროს თავდაპირველად საქმე ეხება პირად მონაცემებს, ანუ ინფორმაციებს, რომლებიც იდენტიფიცირებულ და საიდენტიფიკაციო ფიზიკურ პირებს ეხება. მაიდენტიფიცირებელი ფიზიკური პირი სახეზეა მაშინ, როცა პირდაპირ ან არაპირდაპირ, განსაკუთრებით რაიმე ნიშნისადმი მიკუთვნების შედეგად, როგორცაა სახელი და გვარი, ნომერი, ადგილსამ-

ყოფელი, ონლაინ ამოცნობა ან ერთი და რამდენიმე განსაკუთრებული ნიშნით, რომელიც ამ ფიზიკური პირების ფიზიკური, ფიზიოლოგიური, გენეტიკური, ფსიქიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური იდენტურობის გამოვლინებაა, იდენტიფიკაცია არის შესაძლებელი.

ეს მონაცემები გერმანული სამართლის მიხედვით კიდევ უფრო შეზღუდულია, რადგანაც საქმე ეხება ე. წ. სარეგისტრაციო მონაცემებს (Bestandsdaten), რომლებიც ტელეკომუნიკაციის გამოყენების დროს ან სხვა მსგავსი სერვისისას სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის მოიპოვება და ხელშეკრულების განხორციელების ყველა სტადიაზე აუცილებელია. მასთან დაკავშირებით გამოიყენება ასევე ცნება კლიენტთა მონაცემები. მაგალითად, ტელეკომუნიკაციის სფეროში გერმანული ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის § 3 პარაგრაფის მე-3 ნაწილის მიხედვით ეს ცნება სამართლებრივად შემდეგნაირად განისაზღვრება.

„სარეგისტრაციო მონაცემები“ არის მონაწილის მონაცემები, რომლებიც დასაბუთების, შინაარსობრივი ფორმის, ცვლილებების და სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრებისთვის ტელეკომუნიკაციის მომსახურების შესახებ მოიპოვება“

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი კანონმდებელი ამით სარეგისტრაციო მონაცემებს მხოლოდ გადაწერს და არავითარ კონკრეტულ მაგალითს ასახელებს, ამ ცნების ქვეშ მოცემულია მომხმარებლის ყველა პერსონალური ინფორმაცია, რომელიც ხელშეკრულების დაუბრკოლებელ შესრულებას და გადახდის ჩათვლით მომსახურების მიღებას ემსახურება. ასეთ მონაცემებს, როგორც წესი, მიეკუთვნება გვარი, სახელი და მისამართი, მონაწილის ტელეფონის ნომრის ჩათვლით. მას განეკუთვნება ამავე დროს ტექნიკური ნიშნები, როგორცაა მაგალითად კავშირის სახე და ხელსაწყო სახეობა, ასევე ანგარიშის რელევანტური მონაცემები. ისინი მოიცავს ანგარიშის მისამართს, საბანკო მონაცემებს და თანხის ჩამოჭრის უფლებამოსილებას, ასევე განსაკუთრებულ ტარიფთან დაკავშირებულ მონაცემებს და ასევე გამოყენებულ მომსახურებას.

სხვა დანარჩენი მომსახურების მიმწოდებლების შესაბამისი ლეგალური დეფინიცია გერმანულ ტელემედის შესახებ კანონის 14-ე პარაგრაფის პირველ აბზაცში და სხვა კანონებშია მოცემული.

¹⁸ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი აბზაცი.

¹⁹ ეს გერმანიის კონსტიტუციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ძირითადი უფლება უპირველეს ყოვლისა მოიცავს ინდივიდის უფლებას, ზოგადად თავად განსაზღვროს პირადი მონაცემების გაცემა და გამოყენება (BVerfGE 65, 1).

²⁰ ევროკავშირის, ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის დადგენილება ფიზიკური პირის დაცვის შესახებ პერსონიფიცირებული მონაცემების დამუშავების დროს, მონაცემთა თავისუფალი ბრუნვისა და 95/46/EG დირექტივის გაუქმების (მონაცემთა დაცვის ძირითადი დადგენილება) შესახებ ABI EU L 119/1, 6.5.2016.

2) „სარეგისტრაციო მონაცემებად“ დეფინირებული ინფორმაციები კანონის პროექტის მე-3 ნომერში მოცემულ მომხმარებელთა მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს ჰგავს.

სარეგისტრაციო მონაცემები, ამით, ნათლად არის დიფერენცირებული ე. წ. ტელეკომუნიკაციის ბრუნვის მონაცემებთან („traffic data“), ანუ მონაცემები, როგორცაა კომუნიკაციის თარიღი, დრო და ხანგრძლივობა და ასევე მონაწილე კავშირები.

ბბ) ამ მონაცემების მოპოვება გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ასეთი დამახსოვრებული სარეგისტრაციო მონაცემების მოპოვება გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 100j პარაგრაფის პირველი აბზაცის მიხედვით დასაშვებია.²¹ ამ პარაგრაფის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებს უფლება აქვთ, მანამ სანამ იგი საქმის გარემოების გარკვევას ემსახურება ან ბრალდებულის ადგილსამყოფელის გარკვევისთვის არის აუცილებელი, შესაბამისი მომსახურების მომწოდებელთან მოითხოვონ ინფორმაცია სარეგისტრაციო მონაცემებით აღრიცხული ინფორმაციის შესახებ.

ეს კანონმდებლობა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აიხსნება, რომელიც მან 2012 წლის 24 იანვარს²² მიიღო და დაადგინა:

„მოცემული მონაცემების არც თუ ისე ფართო საინფორმაციო შინაარსის მიუხედავად, აქ საქმე ეხება ჩარევას მხოლოდ შეზღუდული სახით, რომელიც არ არის უმნიშვნელო. მას წონა გააჩნია იმ მხრივ, რომ მონაცემები ინფორმაციისთვის საყოველთაო ბაზისს წარმოადგენენ და მათ როგორც წესი, ყოველი პირის მიერ დანარჩენ რელევანტურ მომხმარებელთა მონაცემებში გაერკვიოს, რასაც მომხმარებელთა ინფორმაციულ თვითგამორკვევაში არც თუ ისე უმნიშვნელო ჩარევამდე მივყავართ.

მიუხედავად ამისა, აქ არსებული ჩარევა არ არის ძალიან დიდი მნიშვნელობის. განსაკუთრებით არ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მიმწოდებლის მიერ მონაცემები ინახება, რადგანაც წვდომა შეზღუდულია შინაარსობრივად ვინრო მონაცემებზე, რომლებიც არ იძლევა ცალკეული პირების კონკრეტული ქმედებების შესახებ ინფორმაციას და რომელთა განსაზღვრული მიზნით გამოყენებაც კანონმდებელმა მოაწესრიგა.

მონაცემები შესაძლებელს ხდის მხოლოდ ტელეკომუნიკაციის ნომრების ინდივიდუალიზებულ მიკუთვნებას და ამით მათ პოტენციურ (და ტიპიურ) მომხმარებლებს. სხვა პრივატული მონაცემები ამ მონაცემებს არ შეიცავს. სხვა ტელეკომუნიკაციის ბრუნვის მონაცემები წინასწარ დამახსოვრებისგან (სატელეკომუნიკაციო მონაცემების შენახვა) ფუნდამენტურად განსხვავდება იმით, რომ ისინი ასეთ უაღრესად პირად ინფორმაციას არ შეიცავს და მათ მიერ პიროვნულობის და მოძრაობის პროფილების შექმნა შესაძლებელი არ არის.

ტელეკომუნიკაციის ნომრის მიკუთვნება კავშირის მფლობელისადმი ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველ აბზაცს არ ეხება (სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობა),²³ მაშინაც როცა იგი ორგანოს უშუალოდ აძლევს საშუალებას, კონკრეტული კომუნიკაციის პროცესების შინაარსის ან გარემოებების რეკონსტრუქცია მოახდინოს და იგი განსაზღვრულ პირს მიაკუთვნოს. რადგანაც შესაბამისი ტელეკომუნიკაციის აქტის შინაარსისა და გარემოებების შესახებ ინფორმაციები ამ შემთხვევაში არა საიდუმლო ტელეკომუნიკაციის პროცესებში ჩარევით მოიპოვება, არამედ ისინი ჯერ გამომდინარეობს ცოდნით, რომელიც სახელმწიფო ორგანოებმა სხვაგვარად მოიპოვა – იქნება ეს გამოძიება, თუ მესამე პირის მითითებები, განსაკუთრებით ტელეკომუნიკაციის პარტნიორის განცხადება. ტელეკომუნიკაციის ნომრის უბრალო მიკუთვნება კავშირის მფლობელისადმი კონკრეტული კომუნიკაციის პროცესის კონფიდენციალურობას არ არღვევს და კონსტიტუციის მე-10 მუხლის პირველ აბზაცში არ ერევა.“

²¹ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 100j პარაგრაფის შესახებ დეტალურად: *Bär, in: KMR-Kommentar zur Strafprozessordnung, § 100j Rn. 2 ff* ასევე ზოგადად, ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ: *Bär, MultiMediaRecht (MMR) 2013, 700.*

²² გერმანიის ფედერაციული სასამართლო, 2012 წლის 24 იანვრის დადგენილება – 1 BvR 1299/05, NJW 2012, 1419.

²³ გერმანიის კონსტიტუციის მე-10 მუხლით გარანტირებული მიმწოდებლის თავისუფლება ასევე საფოსტო და სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობა როგორც ზოგადად დაურღვეველი. შეზღუდვები შესაბამისად მხოლოდ კანონის საფუძველზე ვინრო საზღვრებში უნდა განხორციელდეს.

ამის გათვალისწინებით ასეთი სარეგისტრაციო მონაცემების მოპოვება გერმანული სამართლის მიხედვით არც შინაარსობრივად კონკრეტული დანაშაულების მიმართ არ არის შეზღუდული და მას ამავე დროს არ ჭირდება სამოსამართლო ბრძანება ამ მონაცემების გადაცემისთვის. მაგრამ, ასევე გარანტირებულია კონკრეტულ საგამოძიებო პროცესთან შემხებლობა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოები ასეთ ინფორმაციებს უმიზეზოდ არ მოიპოვებენ.

ამის საწინააღმდეგოდ, ბრუნვის მონაცემების გამოყენებისა, რომელიც ტელეკომუნიკაციის საიდუმლოებაში ჩარევასთან არის დაკავშირებული, გერმანული სამართლით მხოლოდ ძალიან მკაცრი წინაპირობების შემთხვევაში არის დასაშვები, განსხვავებით რეგისტრაციის მონაცემებისგან. ბრუნვის მონაცემები გერმანული ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის § 96 პარაგრაფის პირველი აბზაცის დადგენილების მიხედვით არის ყველა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ, როდის, ვისთან ერთად და რამდენ ხანს მოახდინა კომუნიკაცია და უპირველეს ყოვლისა ტელეფონის ნომრები კომუნიკაციის პროცესში მონაწილე კავშირებისა, ასევე დასაწყისი და დასასრული შესაბამისი კავშირის თარიღისა და დროის მიხედვით. ბრუნვის მონაცემებს შესაძლებელია გერმანული სისხლის სამართლის პროცესის 100g პარაგრაფის მიხედვით ერთის მხრივ მხოლოდ სამოსამართლო ნებართვით იქნეს მოპოვებული საგამოძიებო ორგანოების მიერ, მეორეს მხრივ კი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სისხლის სამართლის დანაშაულის დროს.²⁴

გგ) მტკიცებულებების შეფასება

ამით, შესაბამისად, არ არსებობს სამართლებრივი ეჭვი იმის შესახებ, რომ შემოთავაზებული საკანონმდებლო პროექტით მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები მხოლოდ გამომძიებლის ან პროკურორის ბრძანების საფუძველზე სამართლოსათვის მიმართვის გარეშე მოიპოვება.

დაცვის მხარის უფლებების დასაცავად კი, აქ აღნიშნულ უნდა იქნას, რომ მას იმავე ფორმით უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა და მოიპოვოს ეს მონაცემები.

ბ) სხვა კომპიუტერული მონაცემების მოთხოვნის სასამართლო კონტროლი

შესაბამისად, ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა შეფასდეს, რომ ყველა სხვა კომპიუტერული მონაცემი, რომლებიც ზემოთ დასახელებულ კომპიუტერული მონაცემების ოთხ კატეგორიაში არ ხვდება, ბრალდების მხარის მიერ წერილობითი განცხადების საფუძველზე სასამართლო კონტროლის გარეშე შეიძლება იქნას გამოთხოვილი.

სასამართლო კონტროლით შეზღუდვა როგორც პროკურატურის, ასევე დაცვის მხარისთვის მოცემულია მხოლოდ კომპიუტერული მონაცემების სიის მე-4 ნომერში, ასევე ნაწილობრივ სხვა დასახელებულ მონაცემებში, რომელთაც კავშირი რელიგიასთან, კომერციულ საიდუმლოებასთან ან სხვა სფეროებთან აქვთ. თუ კომპიუტერული მონაცემები ამ კატეგორიის მიერ არ არის მოცემული, მაშინ მე-5 ნომრის ფორმულირების გამო სახეზე აღარ იქნება სამოსამართლო კონტროლი ბრალდების ორგანოს მიერ მონაცემების მოპოვების დროს

აა) მე-5 ნომრით მოცული მონაცემების გამოყენების სფერო

ტელეკომუნიკაციის შინაარსობრივი და ბრუნვის მონაცემების მოცვით, ასევე საბაზისო მონაცემებით მონაცემთა კატეგორიების მიერ პირველიდან სამამდე ჩამოთვლილი მონაცემებით და კომპიუტერული მონაცემებით, რომლებიც მე-4 ნომერში დასახელებულ კრიტერიუმებს მოიცავენ, მე-5 ნომერი რჩება მნიშვნელოვან გამოყენების სფეროდ.

მე-4 ნომერში დასახელებული განსაკუთრებული პიროვნული მონაცემების გარდა, რომლებიც პოლიტიკურ ან რელიგიურ სფეროებთან ან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან არიან დაკავშირებული, შესაძლებელია არსებობდეს აგრეთვე სხვა განსაკუთრებული დაცვის ღირსი კომპიუტერული მონაცემები, რომლებიც ამ შემუშავებული წესის მიხედვით პროკურატურის მიერ სამოსამართლო კონტროლის გარეშე შეიძლება იქნეს მოპოვებული.

მაგალითად, შესაძლებელია მოყვანილ იქნას დღიურის ჩანაწერები, პირადი ფოტო თუ ვიდეო ჩანაწერები ან პროფესიული სამართლით დაცული მონაცემები როგორცაა ადვოკატის, ექიმის, სასულიერო პირის ან სხვა საიდუმლოს მატარებელი პირის, რომლებიც კომპიუტერული მონაცემების სახით საკუთარ კომპიუტერში ან გარეთა ელექტრონული მედიაში იმყოფებიან.

²⁴ ბრუნვის მონაცემთა მოპოვების შესახებ: *Bär*, in: *KMR-Kommentar zur Strafprozessordnung*, § 100g Rn. 4 ff. ასევე შინაარსობრივი საზღვრები: *Bär*, *NZWiSt* 2017, 81.

ბბ) გერმანული სამართლის წესები

გერმანულ სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში დიფერენცირებას ახდენენ ყველა სახის საგნობრივ მტკიცებულებათა მოპოვებასა და საგამოძიებო მოქმედებებს შორის, რომლებიც კომპიუტერული მონაცემების მიღებასთან არიან დაკავშირებულნი. ყველა საგანი, რომელსაც პროცესისთვის მტკიცებულებითი მნიშვნელობა გააჩნია, შესაძლებელია სისხლის სამართლის პროცესის § 94 პარაგრაფის მიერ ჩამორთმეულ იქნეს. ასევე შესაძლებელია, ასეთი მტკიცებულებების მოპოვებისთვის პირთა ან ბინის ჩხრეკის ბრძანება გაიცეს საპროცესო კოდექსის § 102 პარაგრაფის მიხედვით.

ამ ნორმების მიხედვით, საგნები არიან ერთის მხრივ კლასიკურად მოძრავი და უძრავი ყველა სახის ნივთები, როგორცაა მაგალითად ნიგნები, ნერილები, ქმედების იარაღები ან აგრეთვე მიწის ნაკვეთები ან მათი ნაწილები. მეორეს მხრივ კი, ნივთებს მიეკუთვნება აგრეთვე ყველა დიგიტალურად დამახსოვრებული ინფორმაცია, როგორცაა კომპიუტერული მონაცემები, რომლებიც ყველა სახის მეხსიერების ბარათებზე (მაგ. დისკი, CD-ROM, USB, მეხსიერების ბარათები) იმყოფება, მაგრამ აგრეთვე დამახსოვრებული მონაცემების კომპიუტერული ბეჭდვითი ვარიანტები. ევროსაბჭოს კომპიუტერული დანაშაულის შესახებ კონვენციის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის იმპლემენტაციის გამო გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 110 პარაგრაფის მე-3 აბზაცით შესაძლებელი გახდა ელექტრონული მეხსიერების მედიუმის ჩხრეკა, ერთი კომპიუტერიდან სხვა ობიექტის მონაცემების წვდომა, რომლებიც სივრცობრივად განცალკევებულ მეხსიერების მედიუმში არიან შენახულნი, როცა ჩხრეკის ადგილიდან ამ მონაცემებზე წვდომა შესაძლებელია, თუ საძებნი მონაცემების დაკარგვის საშიშროება არ არსებობს.²⁵

ყველა ეს ღონისძიება გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის § 98 და § 105 პარაგრაფების მიხედვით ზოგადად ყოველთვის მხოლოდ მოსამართლის ბრძანების შედეგად უნდა განხორციელდეს. შედეგად, გერმანულ სამართალში კომპიუტერული მონაცემების ყველა წვდომისათვის, როგორც წესი, სამოსამართლო კონტროლი არსებობს. პროკურა-

ტურას შეუძლია გამონაკლისის სახით განსაკუთრებულ სასწრაფო შემთხვევაში („დაგვიანების საშიშროება“) მიიღოს საკუთარი ბრძანება ამ სფეროში. ასეთი ბრძანებები მოსამართლის მიერ შემდგომ უნდა იქნას დამონმებული, რათა მათ სამართლებრივი ძალა გაუგრძელდეთ.

ჩხრეკის ან ჩამორთმევის დროს ასეთი მონაცემების მოპოვებისას კანონმდებელმა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 97 პარაგრაფში უამრავი გამონაკლისი გააკეთა, ისე რომ განსაზღვრული მონაცემების ჩამორთმევა გამორიცხულია, რომლებიც ანუ კონფისკაციის აკრძალვას ექვემდებარებიან.²⁶ კონფისკაციისგან თავისუფალი და ამით სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოების ჩარევისგან დაცული არის შედეგად ყველა მონაცემი, რომლებიც პირებს ეხებიან, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, პიროვნული თუ პროფესიული საფუძვლით ჩვენებაზე უარი განაცხადონ. პიროვნული საფუძვლიდან გამომდინარე დაცულ პირებს მიეკუთვნებიან ბრალდებულის ნათესავები, როგორცაა მაგალითად მეუღლე ან ბავშვები ასევე სხვა ახლო ნათესავები. პროფესიული საფუძვლებიდან გამომდინარე ჩამორთმევისგან თავისუფალია სასულიერო პირების, ადვოკატების და დამცველების, მაგრამ განსაკუთრებით ყველა ექიმის ან პარლამენტის წევრის ნივთები. კონფისკაციისგან გამორიცხულია ასევე მხოლოდ ყველა წერილობითი შეტყობინება ბრალდებულსა და დაცულ პირს შორის, ასევე ჩანაწერები და სხვა ნივთები, რომლებიც – როგორც დღეს არის მიღებული – კომპიუტერული მონაცემების სახით ელექტრონულად დამახსოვრებული ფორმით არის წარმოდგენილი.

გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს²⁷ სამოსამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ ყველა საგამოძიებო ღონისძიების დროს პირადი ცხოვრება სახელმწიფოს ჩარევისგან დაცულ უნდა იქნეს. პირადი ცხოვრების საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვა უზრუნველყოფს ინდივიდის უაღრესად პირადი ცხოვრების სფეროს სახელმწიფო კონტროლისგან დაცვას. ამით პირს

²⁵ Bär, in: Wabnitz/Janovsky, Handbuch des Wirtschafts- und Steuerstrafrechts, 4. Auflage 2014, Kapitel 27 Rn. 10 ff.

²⁶ Bär, in: Wabnitz/Janovsky, Handbuch des Wirtschafts- und Steuerstrafrechts, 4. Auflage 2014, Kapitel 27 Rn. 49 ff.

²⁷ გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლო, 2016 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება – 1 BvR 966/09, NJW 2016, 1781 m.w.N.

განსაკუთრებული ძირითადი უფლებრივი დაცვა ენიჭება ასეთი ჩარევების ღონისძიებების წინაშე სახელმწიფოში, სადაც ადამიანის ღირსება გარანტირებულია. თავად უფრო მაღლა მდგომ საჯარო ინტერესს არ შეუძლია პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ სფეროში ჩარევა გაამართლოს.

პირადი ცხოვრების სფეროს მიეკუთვნება შინაგანი პროცესები როგორცაა გრძნობები და ემოციები, ასევე ფიქრი, მოსაზრებები და უაღრესად პიროვნული მოვლენები. დაცულია უპირველესად არა საჯარო კომუნიკაცია პირებთან, რომლებიც უაღრესად პიროვნული ნდობით სარგებლობენ. ამ პიროვნებებს მიეკუთვნებიან განსაკუთრებით მეუღლე და პარტნიორი, დაძმა და ნათესავები პირდაპირი ხაზით, განსაკუთრებით აგრეთვე პროფესიული საიდუმლოების მატარებლები, როგორცაა სისხლის სამართლის პროცესში დამცველი, ექიმები, სასულიერო პირები და ახლო პირადი მეგობრები. ეს წრე მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მქონე პირებს.

პირადი ცხოვრების ეს სფერო ყველა სახელმწიფო ჩარევის ღონისძიებისას პატივისცემას მოითხოვს და უშუალოდ კონსტიტუციის გამო უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამავე დროს მონაცემების მოპოვებისას, რომლებიც კერძო ცხოვრების სფეროს მიეკუთვნება, გათვალისწინებულ უნდა იქნას:

1) თავდაპირველად აბსოლუტურად არის გამორიცხული, ამ დაცული სფეროს სახელმწიფო გამოძიების მიზნად გადაქცევა და ამ მხრივ ინფორმაციების რაიმე ფორმით შეფასება ან სხვა გამოძიებისთვის გამოყენება. მაშინაც კი, როცა ამით მრავალმხრივი ცნობების მიღება არის შესაძლებელი, მიზანმიმართული ჩარევა უაღრესად პრივატულ სფეროში (მაგ., დღიურების შესაბამისი შინაარსით მოპოვება) თავიდანვე გამორიცხულია. განსაკუთრებით არ შეიძლება უფლებათა დაცვა კონკრეტულ შემთხვევაში დაექვემდებაროს აზრთა შეფასებას.

2) საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების დროს ამავე დროს დამახსოვრებული ინფორმაციაზე წვდომისას უფლებათა დაცვას ორი მხრივ უნდა მიექცეს ყურადღება: პირველად მონაცემთა მოპოვების ეტაპზე მიღებულ უნდა იქნას ღონისძიებები, რომ ინფორმაციების არამიზანმიმართული ჩანერა, რომლებიც დაცულ სფეროს ეხებიან – რამ-

დენადაც შესაძლებელია – გამორიცხულ იქნას. მეორეს მხრივ კი შემდგომი შეჯამებისა და შეფასების დროს დაცულ სფეროში გარდაუვალი ჩარევა კერძო ცხოვრების სფეროში მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, ისე რომ ასეთი ინფორმაციები შემდგომ პროცესში არ შეიძლება იქნას მტკიცებულებებად გამოყენებული.

შედეგად მივიღვართ დასკვნამდე, რომ გერმანული გაგებით საგნებზე წვდომა, რომლებიც მტკიცებულების სახით მნიშვნელოვანი არიან – და ამით შესაბამის კომპიუტერულ მონაცემებზე – როგორც წესი ყოველთვის მხოლოდ სამოსამართლო ბრძანების საფუძველზე არის შესაძლებელი. გარდა ამისა განსაკუთრებით სენსიტიური მონაცემები, რომლებიც საიდუმლოს მატარებელს პირს მიეკუთვნება და კერძო ცხოვრების სფეროს განეკუთვნება, არ არის ღია სახელმწიფოს ჩარევის წინაშე.

გგ) მტკიცებულებების შეფასება

პირველ და მე-4 ნომრებში მოცემულ მონაცემებში მე-5 ნომერს ადგილი რჩება, როგორც სხვა კომპიუტერული მონაცემების ბადას და მას მნიშვნელოვანი გამოყენების სფერო გააჩნია. შესაძლებელია კომპიუტერში დამახსოვრებული მონაცემების დიდი რაოდენობა, რომელიც – ისე როგორც მე-4 ნომრის კომპიუტერული მონაცემები – განსაკუთრებულ დაცვას ითხოვენ. მათ მიეკუთვნება განსაკუთრებით ყველა ინფორმაცია, რომელიც კერძო ცხოვრების უფლების დაცულ სფეროს განეკუთვნება.

ამის გათვალისწინებით, ამ მონაცემების სენსიტიურობის გამო და ასეთი მონაცემების შენახვის მნიშვნელოვან ინტენსიურობასთან დაკავშირებული ჩარევა მოითხოვს ამ სფეროშიც სამოსამართლო ბრძანებას ამ კომპიუტერული მონაცემების წვდომის შესახებ.

ანგარიში კონფერენციაზე: „ნარკოტიკული დანაშაული და სისხლის სამართლის პოლიტიკა“ – 2018 წლის 2-3 ნოემბერი, თბილისი, საქართველო

ასისტენტი-პროფესორი, სამართლის დოქ. *თემურ ცქიტიშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების, თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ორგანიზებით სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ 2018 წლის 2-3 ნოემბერს ჩატარდა 2 დღიანი ქართულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ნარკოტიკულ დანაშაულს და სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას. კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე გერმანელი მეცნიერები და პრაქტიკულ სფეროში მოღვაწე იურისტები. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პროფესორები, თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები, თიუბინგენის ებერჰარდ კარლსის უნივერსიტეტის პროფესორები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, საქართველოს მთავარი პროკურატურის და ჰანოვერის პროკურატურის პროკურორები.

კონფერენცია გახსნა თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა პროფ. თამარ ზარანდიამ, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა საკონფერენციო თემის აქტუალობას და შესაბამისად, კონფერენციის ჩატარების მნიშვნელობას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა დოქტორმა გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც ისაუბრა უნივერსიტეტის ტრადიციაზე, ისტორიაზე და იმ გამოცდილებაზე რაც, უნივერსიტეტს გააჩნია უცხოურ კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის კუთხით.

თემა, რომელსაც კონფერენცია მიეძღვნა მეტად აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, რაც განპირობებულია მსოფლიოში ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის ტენდენციებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლო პერიოდში არაერთი გადაწყვეტილება მიიღო, რაც საფუძვლად დაედო ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას. პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ამ მიმართულებით მიღებულ იქნა 2015 წლის 24 ოქტომბერს ბექა ნიქარიშვილის საქმეზე, რომელიც შეეხებოდა 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შექმენა-შენახვისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაპროპორციულად, არაკონსტიტუციურად ცნობას. აღნიშნული გადაწყვეტილება გახდა ნარკოტიკულ დანაშაულთა დასჯადობის პოლიტიკაში გარდამტეხი ცვლილებების შეტანის საფუძველი, ვინაიდან მას მოჰყვა საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომი გადაწყვეტილებები, რომელთაგან აღსანიშნავია მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაცია და ლეგალიზაციაზე, პირადი მოხმარების მიზნით განსაზღვრული ოდენობით კანაფის უკანონოდ დათესვასა და მოყვანასთან დაკავშირებით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაპროპორციულობაზე მიღებული გადაწყვეტილებები. აღნიშნული გადაწყვეტილებები და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ნარკოპოლიტიკის განსაზღვრაში განხილულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი და ყოფილი მოსამართლეების, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორების, პროფ. მერაბ ტურავას და პროფ. ლალი ფაფიაშვილის მოხსენებებში.

პროფ. მ. ტურავამ კონფერენციის მონაწილეებს გააცნო ნარკოტიკული დანაშაულებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული სანქციის არაკონსტიტუციურობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში

გამოთქმული შეფასებები და არგუმენტაცია, რომელსაც აღნიშნული გადაწყვეტილებები დაეყრდნო. საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთი გადაწყვეტილებით 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებასთან მიმართებით, რომელიც ეხება ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლებას და კრძალავს ადამიანის წამებას, არაჰუმანურ, სასტიკ ან პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას და სასჯელის გამოყენებას¹. საკონსტიტუციო სასამართლომ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად მიიჩნია დანაშაულებრივ ქმედებასთან აშკარად შეუსაბამო საპატიმრო სასჯელი. სასამართლოს შეფასებით, არაადამიანურ და სასტიკ სასჯელად შეიძლება ჩაითვალოს არაპროპორციული სასჯელი, რომელიც გამოკვეთილად, უხეშად არათანაზომიერია და ინტენსივობის, სიმკაცრის ძალიან მაღალ ხარისხს აღწევს. სასჯელის პროპორციულობის სტრუქტურულ ელემენტებს კი წარმოადგენს: სასჯელის ლეგიტიმური მიზანი, სასჯელის ვარგისიანობა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, მიზნის მიღწევის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად კონკრეტული სასჯელის გამოყენების აუცილებლობა და მიზანსა და საშუალებას შორის პროპორციული დამოკიდებულება. იმის დასადგენად, არის თუ არა სასჯელი აშკარად არაპროპორციული, სასამართლოს პოზიციით, მხედველობაში მიიღება ქმედების უმართლობის ხარისხი, დანაშაულისგან მოსალოდნელი ზიანი და საფრთხე. მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სასჯელის პროპორციულობისთვის დასაცავი სამართლებრივი სიკეთის გათვალისწინების მნიშვნელობაზე, რომელზეც მსჯელობაა მოცემული საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში. სასამართლოს შეფასებით, სამართლებრივი სიკეთის დაცვა არის ლეგიტიმური მიზანი. სახელმწიფოს მიერ ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა

მაშინ არის გამართლებული, როცა ქმედება არა მხოლოდ ირაციონალურია, არამედ სხვებსაც უქმნის რეალურ და სერიოზულ საფრთხეს. ადამიანს არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის გამო. სწორედ აღნიშნული მოტივით სცნო საკონსტიტუციო სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურ სასჯელად პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის, რამაც შექმნა საფუძველი მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციის და ლეგალიზაციის თაობაზე მოგვიანებით მიღებული გადაწყვეტილებებისთვის. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიიღო გადაწყვეტილება 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვის თავისუფლების აღკვეთით დასჯის არაკონსტიტუციურობაზე² და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის შეძენა-შენახვა 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვასთან შედარებით ნაკლები საფრთხის შემცველია.

პროფ. მ. ტურავამ თავის მოხსენებაში აგრეთვე ისაუბრა დეზომორფინის დამზადების, შეძენისა და შენახვის გამო სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე³, რომლითაც თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურ სასჯელად იქნა მიჩნეული დეზომორფინის არა ნებისმიერ ოდენობასთან, არამედ 0,00009 გრამ დეზომორფინთან მიმართებით. სასამართლოს შეფასებით, 0,00009 გ. დეზომორფინის მოხმარება ობიექტურად შეუძლე-

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqal-aqe-beqa-wiqarishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmd-eg2.page>; უკანასკნელად ნანახია: 1.4.2019).

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია: <http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/bolnisis-raionuli-sasamartlos-konstituciuri-wardgineba-saqartvelos-sisxlis-samartlis-kodeqsis-260-e-muxlis-pirveli-nawilis-im-n-oratiuli-shinaarsis-konstituciurobis-taobaze-romelic-itvalis-winebs-sasdjelis-saxit-tavisuflebis-agkvets-gamoyenebis-s-hesadzleb.page>; უკანასკნელად ნანახია: 1.4.2019).

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-8-696-saqartvelos-moqal-aqe-lasha-baxutashvili-saqartvelos-parlamentis-win-aagmd-eg1.page>; უკანასკნელად ნანახია: 1.4.2019).

ბელია. შესაბამისად, არ არსებობს მისი რეალიზაციაში გაშვების საფრთხე. დასახელებული ოდენობის დეზომორფინის შექმნა-შენახვის დასჯა თავისუფლების აღკვეთით არ არის განპირობებული საზოგადოების დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე. მოხსენებაში ყურადღება დაეთმო კანაფის პირადი მოხმარების მიზნებისთვის უკანონოდ დათესვის ან მოყვანისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებასაც⁴. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმით გათვალისწინებული სანქცია, ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებების მსგავსად, არაკონსტიტუციურად სცნო არაადამიანური და სასტიკი სასჯელის აკრძალვის კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით. დასახელებულ გადაწყვეტილებებს საფუძველი შეუქმნა საკონსტიტუციო სასამართლოს ადრინდელმა გადაწყვეტილებებმაც. საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, კანაფის განსაზღვრული ოდენობა თუ რამდენად უქმნის საფრთხეს მოხმარებლის გარდა სხვა პირებს. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ 150,72 გრამი კანაფი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ოდენობად, რომელიც არ არის განკუთვნილი პირადი მოხმარებისთვის და რომელიც ავტომატურად ქმნის მისი გავრცელების და, შესაბამისად, სხვათა ჯანმრთელობის დაზიანების გარდაუვალ საფრთხეს. ამიტომაც, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმით გათვალისწინებული სანქცია არ მიიჩნია პროპორციულ საშუალებად. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა ასევე ჩათვალია ბლანკეტურად, რაც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა 265,49 გრამი კანაფის პირადი მოხმარების მიზნით დათესვისა და მოყვანის ექვსიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დას-

ჯის კონსტიტუციურობის საკითხიც. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალია, რომ კანაფის დასახელებული ოდენობა შეიცავს მისი გავრცელების რისკს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სადავო ნორმით გათვალისწინებული სასჯელი მაინც არაკონსტიტუციურად იქნა დადგენილი.

მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება⁵ მიმოიხილა პროფ. ლ. ფაფიაშვილმა, რომლის თქმითაც, მარიხუანის დეკრიმინალიზაციის კონსტიტუციურ საფუძველად მიჩნეული იქნა ის, რომ მარიხუანის მოხმარებით მოხმარებელი საფრთხეს არ უქმნის სხვების ჯანმრთელობას, შესაბამისად, ასეთი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ ჩაითვლება ადამიანის პიროვნული განვითარების უფლებაში სახელმწიფოს აუცილებელ და პროპორციულ ჩარევად. ადამიანის დასჯა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანებისთვის, წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან პატერნალიზმის გამოვლენის ისეთ ფორმას, რომელიც შეუთავსებელია თავისუფალ საზოგადოებასთან. არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული კვლევის შედეგები, რომლითაც დასტურდება, რომ მარიხუანის მოხმარება ქმნის სხვა დანაშაულის ჩადენის საფრთხეს. მარიხუანის მოხმარება არ განიხილება უფრო მძიმე ნარკოტიკულ საშუალებაზე გადასვლის კარიბჭედ. მარიხუანის მოხმარებით აბსტინენციის მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე დასკვნა ჰიპოთეტურია. შესაბამისად, მარიხუანის მოხმარების აკრძალვა ვერ იქნება მიჩნეული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებელ საშუალებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, გართობისა და რეკრეაციული მიზნით მარიხუანის მოხმარების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა არღვევს პიროვნების თავისუფალი განვითარების კონსტიტუციურ უფლებას.

მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მარიხუანის მოხმარების

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-9-701-saqartvelos-moqalaqeeb-i-djambul-gvianidze-davit-xomeriki-da-lasha-gagishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg3.page>; უკანასკნელად ნანახია: 1.4.2019).

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-13-732-saqartvelos-moqalaqe-givi-shanidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg2.page>; უკანასკნელად ნანახია: 1.4.2019).

ლეგალიზაციაზე⁶, რომელიც თავის მოხსენებაში პროფ. მ. ტურავამ განიხილა. სასამართლომ მარიხუანის მოხმარების აკრძალვის არაკონსტიტუციურობა განიხილა ადამიანის პიროვნული განვითარების უფლების კონტექსტში და დაადგინა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვა დასახელებულ კონსტიტუციურ უფლებასთან მოდიოდა წინააღმდეგობაში, რაც საფუძვლად დაედო მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციას. თუმცა, სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია მარიხუანის განსაზღვრულ გარემოებებში მოხმარების შეზღუდვა. მაგალითად, სკოლებში, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში და/ან მათი თანდასწრებით, რამაც გავლენა შეიძლება იქონიოს მოზარდზე, გააღვიძოს მასში მარიხუანის მიმართ ინტერესი და მოახდინოს მარიხუანის მოხმარების ერთგვარი პროვოცირება. სასამართლოს გადაწყვეტილებაში საუბარია მარიხუანის მოხმარების შეზღუდვის გამართლებაზე სასწავლო, საღმრთედლო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არმიაში, სამედიცინო, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებებში, აგრეთვე, საზოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ ადგილას (მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში), საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და საჯარო წესრიგის ინტერესების დასაცავად. ვინაიდან მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციის საკითხიც ადამიანის პირადი განვითარების უფლებასთან მიმართებით იქნა განხილული, მოცემული გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, დიდწილად იმეორებს იმ არგუმენტაციას, რომელსაც დაეყრდნო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები იყო განხილული ასოცირებულ პროფ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისის მოხსენებაშიც, რომელმაც მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკითხის გადაჭრის კუთხით გაიზიარა,

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-3-1282-saqartvelos-moqalaqeebi-zurab-djafaridze-da-vaxtang-megrelishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>; უკანასკნელად ნანახია: 1.4.2019)

მაგრამ გააკრიტიკა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არგუმენტაცია. მოხსენებაში ნაწილობრივ გაკრიტიკებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოში მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებულ საქმეზე მიწვეული ექსპერტის თვალსაზრისი ქმედების დასჯადობის მორალურ საფუძველზე. მომხსენებელმა ერთი მხრივ, გაიზიარა მოსაზრება, რომ ქმედება, რომელიც მართოდენ „წმინდა მორალურ ფასეულობებს“ ხელყოფს, დასჯადი არ უნდა იყოს. ხოლო მეორე მხრივ, მომხსენებლის შეხედულებით, ეთიკური, მორალური თვალთახედვებისა და ზნეობის გათვალისწინების გარეშე რიგი ქმედებების დასჯადად არ გამოცხადდებოდა. მაგალითად, ისეთი ქმედებები, როგორცაა: მიცვალებულისადმი უპატივცემულობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის⁷ 258-ე მუხლი, გერმანიის სსკ-ის §168), ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა (საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლი გერმანიის ცხოველთა დაცვის კანონის §17), პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება (საქართველოს სსკ-ის 255-ე მუხლი, გერმანიის სსკ-ის §184). ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისის შეხედულებით, დასახელებულ ქმედებათა სისხლისსამართლებრივი დასჯა საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალური კოდექსის გამოძახილია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩამოთვლილი შემადგენლობები საქართველოს სსკ-ში მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია გათვალისწინებული. მოხსენებაში, ერთი მხრივ, ხაზი გაესვა ნარკოტიკის მოხმარების, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დასჯადობის ლეგიტიმაციის დასაბუთების დოგმატურ სირთულეს. თუმცა, მეორე მხრივ, მომხსენებელი არც ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციის საფუძვლად ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის იდეას არ იზიარებს, ვინაიდან მძიმე ნარკოტიკები ინვევენ აბსტინენციას, ფიზიკურ დამოკიდებულებას. მომხსენებლის შეხედულებით, ნარკოტიკებით დასნებოვნებული ადამიანის სისხლისსამართლებრივი დასჯა წინააღმდეგობაში მოდის სასჯელის მიზნებთანაც. თუ ნარკოტიკების მომხმარებელთა დასჯის მიზანი ნარკოტიკებისგან თავისუფალი საზოგა-

⁷ შემდეგში შემოკლებულია, როგორც სსკ.

დოება და სასურველი, სამაგალითო სოციალური ურთიერთობების და საზოგადოების კოლექტიური იდენტობის დაცვაა დაზიანებისგან, ამას შედეგად მოჰყვება ნარკომომხმარებლის მოცილება საზოგადოებისგან, ჯანსაღი საზოგადოების სურათის შესაქმნელად და არა დამნაშავეს რესოციალიზაცია, რაც ადამიანის ღირსებას ხელყოფს და სასჯელის მიზნებს ეწინააღმდეგება. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის შეფასებით, მარიხუანის დეკრიმინალიზაციაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფილოსოფიური საფუძველი ლიბერალიზმია, რომელიც ანარქიზმისგან განსხვავებით, სახელმწიფოს ინდივიდის თავისუფლების გარანტიად მოიაზრებს. ლიბერალიზმის ცენტრში დგას დამოუკიდებელი, თავისუფალი, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებელი ინდივიდი. ამდენად, ლიბერალიზმის მიხედვით, პირის დასჯა თვითდაზიანებისთვის ალოგიკური და მიუღებელია. მომხსენებლის თვალსაზრისით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მარიხუანის დეკრიმინალიზაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას არა ლიბერალიზმს, არამედ კომუნიტარიზმს უნდა დაყრდნობოდა. კომუნიტარიზმიც იძლევა შესაძლებლობას პირი გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან თვითდაზიანებისთვის, მაგრამ კომუნიტარიზმისგან განსხვავებით, ლიბერალიზმი ყველანაირი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას უხსნის გზას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შემდგომ პრაქტიკაში შექმნილ სირთულეებსა და კანონმდებლობაში არსებულ ერთგვარ შეუსაბამობებზე მოხსენება წარმოადგინა საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა ბესიკ თხელიძემ.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არაერთი ცვლილება განხორციელდა და სამომავლოდაც იგეგმება განსაზღვრული ცვლილებები, რის შესახებაც თავის მისასალმებელ სიტყვაში და მოხსენებაში ისაუბრა, საქართველოს პარლამენტის წევრმა, იურიდიული კომიტეტის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ პარლამენტში მიმდინარეობს დისკუსია, უნდა მოხდეს თუ არა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების სრული დეკრიმინალიზაცია. მოხსენებაში ასევე აღინიშნა,

რომ პარლამენტი არ აპირებს გადახედოს ნარკოტიკული საშუალების გასაღების დასჯადობის პოლიტიკას და გასაღების დასჯადობასთან დაკავშირებით მკაცრი მიდგომა შენარჩუნდება.

კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები მიეძღვნა ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებულ მატერიალურსისხლისსამართლებრივ, კრიმინოლოგიურ ასპექტებს და აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკას. ერთ-ერთ მოხსენებაში კრიტიკულად იქნა გაანალიზებული სამართლებრივი სიკეთის კონცეფციასთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმული ცალკეული შეხედულებები (ასისტენტ-პროფ., თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი თემურ ცქიტიშვილი). მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი. სახელდობრ, ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთე. ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სიკეთედ სისხლის სამართლის ლიტერატურაში განიხილება „მოსახლეობის ჯანმრთელობა“, რომელიც უნივერსალურ სიკეთეს წარმოადგენს. მაგრამ თუ რა მოიაზრება აღნიშნული ცნების ქვეშ და თუ როგორი სიკეთეა „მოსახლეობის ჯანმრთელობა“, იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვაობას იწვევს. კერძოდ, იგი არის სხვადასხვა სიკეთეთა კონგლომერატი, თუ ცალკე აღებული დამოუკიდებელი სამართლებრივი სიკეთე, რომელიც არ განიხილება სხვადასხვა ინტერესთა ერთობლიობად. თუ „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ მიჩნეულ იქნა სხვადასხვა ინტერესთა ერთობლიობად, თითოეულ ამ ინტერესს ცალკე აღებულს, სხვა ინტერესებისგან დამოუკიდებლად, არ შეუძლია ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობის ლეგიტიმაცია მოახდინოს, მაგრამ აღნიშნული სიკეთის ცალკე აღებულ დამოუკიდებელ სიკეთედ მიჩნევისას ასევე ჩნდება მეორე კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეიძლება იყოს მისი მატარებელი და რამდენად შეიძლება ნარკოტიკული დანაშაულების განხორციელებისას, ცალკეულ შემთხვევაში იმის შემოწმება, თუ რა ზიანი განიცადა „მოსახლეობის ჯანმრთელობამ“. ამის დადგენა შეუძლებელია აღნიშნული სიკეთის აბსტრაქტულობიდან გამომდინარე, რაც წარმოშობს კითხვას იმასთან დაკავშირებით, უნდა იცავდეს თუ არა სისხლის სამართალი ასეთ არარეალურ აბსტრაქციას, რამდენად წარმოადგენს იგი საკმა-

რის ბაზისს ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის-სამართლებრივი დასჯადობის ლეგიტიმაციისთვის. მოხსენებაში განხილვის საგანს წარმოადგენდა სამართლებრივი სიკეთის საკითხი მაშინ, როცა საქმე ეხება ნარკოტიკული საშუალების პირად მოხმარებას. ასეთ დროს სამართლებრივ სიკეთედ „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ მიჩნევა განსაკუთრებით დაუსაბუთებელია, ვინაიდან ნარკოტიკების მომხმარებელი თუ ვინმეს ვნებს, ეს პირველ რიგში საკუთარი თავია. თვითდაზიანება კი არ ისჯება. სისხლის სამართალი იცავს სხვის სიკეთეს და არა მოქმედი პირის სიკეთეს მისივე ქმედებისგან. ამიტომაც, შემთხვევითი არ იყო ის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოახდინა მარიხუანის მოხმარების როგორც დეკრიმინალიზაცია, ისე ლეგალიზაცია. მარიხუანის მომხმარებელი საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებას და იგი განიხილება ადამიანის პირადი განვითარების უფლების ქრილში. მაშინ, როცა ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავ სიკეთედ სპეციალურ ლიტერატურაში „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ განიხილება, ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე თავი აქვს გამოყოფილი აღნიშნული სიკეთის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, მაგრამ ნარკოტიკული დანაშაულები არ არის ამ თავში გათვალისწინებული. თუმცა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნარკოტიკული დანაშაულები მოქცეულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავ სიკეთედ ქართული კანონმდებლობის მიხედვით ასევე მიიჩნევა საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი.

ნარკოტიკული დანაშაულის საგანზე მოხსენება ნაიკითხა ასოცირებულმა პროფ. ირაკლი დვალაძემ (თსუ), რომელმაც განიხილა ნარკოტიკული დანაშაულის საგნები, აღინიშნა, რომ ნარკოტიკული დანაშაულების საგნად არა მხოლოდ ნარკოტიკული საშუალებები, არამედ ისეთი ნივთიერებებიც მოიაზრება, რომლებიც არ განეკუთვნება ნარკოტიკულ საშუალებებს, მაგრამ იწვევენ ნარკოტიკული საშუალებებით განპირობებული თრობის მსგავს მდგომარეობას, ვინაიდან შეუძლიათ ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე გავლენის მოხდენა. მოხსენებაში ერთმანეთისგან გაიმიჯნა დანაშაულებრივი ქმედების ობიექტი, როგორც დანაშაულის საგანი და ნარკოტიკული დანაშაულისგან

დასაცავი სამართლებრივი სიკეთე. მოხსენებაში წარმოჩენილი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების შემდგომ ზოგიერთი ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულირებაში არსებული ხარვეზები. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სსკ-ის 265-ე მუხლით კანაფის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით დათესვა და მოყვანა პირადი მოხმარების მიზნით არ შეიძლება დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით მისი არაკონსტიტუციურობიდან გამომდინარე, ხოლო სხვა სასჯელი აღნიშნული ნორმით დასახელებული ქმედებებისთვის არ არის გათვალისწინებული, მაშინ როცა აღნიშნული მუხლი უშვებს მცირე ოდენობით იგივე ქმედების განხორციელებისთვის ჯარიმის შეფარდების შესაძლებლობას. გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება შეეფარდოს მცირე კანაფის დამთესავს და მომყვანს, ხოლო თუკი საქმე ეხება განსაკუთრებით დიდი ოდენობით მცენარე კანაფის კულტივირებას, სასჯელის გამოყენება შესაძლებელი ხდება. მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ შექმნილი საკანონმდებლო რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება არ ისჯებოდეს „უფრო დიდი“ და ისჯებოდეს „უფრო პატარა“. მოხსენებლის მიერ გამოთქმული მოსაზრებით, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლითაც განისაზღვრება ნარკოტიკული საშუალებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ოდენობები.

პროფ. ნონა თოდუამ (თსუ) მოხსენებაში მოიხილა ჯგუფურად ჩადენილი ნარკოტიკული დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემა, ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ჩამოყალიბებული ობიექტური, სუბიექტური, ფუნქციონალური და მატერიალურ-ობიექტური (ქმედებაზე ბატონობის) თეორიები. მოხსენებელმა არგუმენტირებულად ისაუბრა ჩამოთვლილი თეორიებიდან თუ რატომ არის მიუღებელი სუბიექტური, წმინდა ობიექტური თუ ფუნქციონალური თეორიის გაზიარება და რატომ უნდა იქნას ქმედების კვალიფიკაციის დროს გამოყენებული მატერიალურ-ობიექტური თეორია. მოხსენებაში ხაზი გაესვა იმ განსხვავებებსაც, რომელიც ამსრულებლის საკანონმდებლო განსაზღვრებასთან დაკავშირებით არსებობს ქართულ და

გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობას შორის, რაც მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად არის თუ არა დანაშაული ჯგუფურად განხორციელებული. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა ქართული კანონმდებლობის იმ თავისებურებაზეც, რომ იგი თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახედ აღიარებს ორგანიზატორს, განსხვავებით გერმანული კანონმდებლობისგან, რომლითაც თანამონაწილეობის სახეებია მხოლოდ ნამქეზებელი და დამხმარე. ვინაიდან ქართული სსკ ორგანიზატორს თანამონაწილედ მიიჩნევს, მომხსენებლის თვალსაზრისით, ფუნქციონალური თეორიის გაზიარებისთვის ნაკლები საფუძველი არსებობს. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე შეიძლება ვისაუბროთ თანაამსრულებლობაზე და არა ფუნქციონალურ თანაამსრულებლობაზე.

კონფერენციაზე გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობის თავისებურებებზე, პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებზე, ზოგიერთ შემთხვევაში ნარკოტიკული დანაშაულის კრიმინოლოგიურ ასპექტებზე მოხსენებები წაიკითხეს თიუბინგენის ებერჰარდ კარლსის უნივერსიტეტის პროფესორებმა პროფ. ბერნდ ჰაინრიხმა, პროფ. იორგ ქინციგმა და ჰანოვერის პროკურატურის პროკურორმა დოქტორმა მარკუს ფროისემ. ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ნარკოტიკული დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტები კი განიხილა ასოცირებულმა პროფ. მორის შალიკაშვილმა.

პროფ. ბერნდ ჰაინრიხმა საკუთარ მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართული სსკ-ით, გერმანულთან შედარებით, ნარკოტიკული დანაშაულისთვის უფრო მკაცრი სასჯელებია გათვალისწინებული. შემდეგი სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ თუ დანაშაულებრივ ქმედებათა შემადგენლობები საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსითაა გათვალისწინებული, გერმანიაში სსკ-ის გარდა მოქმედებს ე. წ. დამატებითი, გვერდითი კანონებიც, სადაც არის ასახული ზოგიერთი ქმედების შემადგენლობა. ეს ეხება ნარკოტიკულ დანაშაულებსაც. ნარკოტიკული დანაშაულები ისჯება არა გერმანული სსკ-ით, არამედ „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონით“. შესაბამისად, გერმანიაში ნარკოპოლიტიკას განსაზღვრავს არა სსკ, არამედ ნარკოტიკული საშუალებების შესა-

ხებ კანონი. აღნიშნულ კანონს საფუძვლად უდევს ადმინისტრაციულსამართლებრივი მატერია. საქმე ეხება ადმინისტრაციულ სამართალს. დასახელებული კანონი არეგულირებს ნარკოტიკული საშუალებების საჯარო-სამართლებრივ ნებადართულ გამოყენებას, ვინაიდან მედიცინის ზოგიერთ სფეროში, ნარკოტიკული საშუალების გამოყენება აუცილებელი და სასურველიცაა. ნარკოტიკული საშუალებების შესახებ გერმანული კანონის 29-34 პარაგრაფებით ისჯება უნებართვოდ ნარკოტიკების ყიდვა, გაყიდვა, წარმოება ან ფლობა. კანონმდებლის მიზანი იყო ნარკოტიკული საშუალების გამოყენების თითოეული ფორმის შეძლებისდაგვარად ფართო აკრძალვა დაენესებინა და დასჯადად გამოეცხადებინა. თუმცა, გერმანული სისხლის სამართალი ნარკოტიკების გამოყენების ყველა ფორმას არ მოიცავს. მოხსენებაში განხილულ იქნა ნარკოტიკული საშუალების განსაზღვრებაც და ხაზი გაესვა ნარკოტიკულ საშუალებათა სიების განსაზღვრის მნიშვნელობას სამართლებრივი უსაფრთხოებისთვის, განსაკუთრებით სინთეტიკურ ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით. თუმცა, მოხსენებაში აღინიშნა იმ ნეგატიურ მხარეებზეც, რაც თან ახლავს ნარკოტიკულ საშუალებათა სიის განსაზღვრას. როგორც მოხსენებაში აღინიშნა, გერმანული კანონმდებლობით არ არის დასჯადი ნარკოტიკის პირადი მოხმარება, როცა ადამიანი მეგობრების წრეში ზის და ნარკოტიკულ საშუალებას ეწევა ან კოკაინის შეყნოსვა. მაშინ როცა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება არ ისჯება, ფლობა დასჯადია. როგორც მოხსენებაში ითქვა, ნარკოტიკული საშუალების ფლობის დასჯადობა გერმანიაში სამართლებრივპოლიტიკური თვალსაზრისით ძალზედ საკამათოა, ვინაიდან ფლობა არავის არ აზიანებს. მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალების ფლობისას სახეზეა მაქსიმუმ მოსალოდნელი თვითდაზიანება. მაგრამ თვითდაზიანება გერმანული სისხლის სამართლით არ არის დასჯადი. ის ვინც საკუთარ თავს აზიანებს ან კლავს გერმანული სამართლით დაუსჯელი რჩება. ნარკოტიკული საშუალების ფლობის დასჯადობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით კითხვას იწვევს სამართლებრივი სიკეთის დაცვა. ყველა სისხლისსამართლებრივი ნორმა სამართლებრივი სიკეთის დაცვისკენ უნდა იყოს მიმართული. თუ სისხლის სამართლის ნორმა სამართლებრივ სიკეთეს არ იცავს, არაკონსტიტუციურად იქნება ცნობილი.

ნარკოტიკული დანაშაულისგან დაცული სიკეთეა არა მომხმარებელთა ჯანმრთელობა, არამედ „მოსახლეობის ჯანმრთელობა“, თუმცა რას გულისხმობს იგი არ არის ნათელი და ამდენად საკამათოა. მოხსენებაში განხილული იქნა ასევე ის გარემოებები, რომლებიც ქმედების კვალიფიციურ შემადგენლობებს აფუძნებენ.

პროფ. ბერნდ ჰაინრიხმა კონფერენციაზე სულ 2 მოხსენება წაიკითხა. მე-2 მოხსენებაში მომხსენებელმა ისაუბრა ნარკოტიკულ დანაშაულთა დასჯადობის პოლიტიკის გამკაცრების ტენდენციაზე, რომელიც შეინიშნება 1972 წლიდან, როდესაც სასჯელის ზედა ზღვარი გახდა თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით, ხოლო 1982 წელს ზედა ზღვარმა აინია 15 წლამდე. მოხსენებაში განხილვის საგანს წარმოადგენდა ასევე დამნაშავის სასჯელისაგან განრიდების შესახებ სასამართლოსთვის კანონით მინიჭებული შესაძლებლობა. გერმანული კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას იძლევა, როცა საქმე ეხება პირადი მოხმარების მიზნით მცირე მოცულობით ნარკოტიკული საშუალების გაშენებას, წარმოებას, ქვეყანაში შემოტანას (იმპორტირებას), ექსპორტირებას, გადატანას, შექმნას. არსებითი ნიშანი მოცემულ შემთხვევაში არის ის, რომ დამნაშავეს ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარებისთვის გამოყენება სურს. ნარკოტიკული საშუალების შესახებ კანონი ასევე ითვალისწინებს პროკურატურის მიერ პროცესის შეწყვეტის შესაძლებლობას თუ ქმედება მხოლოდ მცირე მოცულობის ნარკოტიკებს ეხება და დამნაშავის ბრალი მცირეა. გერმანული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, წვრილმანი დანაშაულის (Bagatelldelikt) განხორციელებისას დამნაშავის მცირე ხარისხის ბრალის და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, პროკურატურას შეუძლია დაეთანხმოს სასამართლოს პროცესის შეწყვეტასთან დაკავშირებით. მაშასადამე, ბრალის მცირე ხარისხის გარდა არ უნდა არსებობდეს სისხლის სამართლის პროცესის გაგრძელების საჯარო ინტერესი. მოხსენებაში ყურადღება დაეთმო იმასაც, რომ გერმანული სისხლის სამართალი აღიარებს პრინციპს „თერაპია სასჯელის ნაცვლად“, რაც იმას გულისხმობს, რომ ნარკოტიკზე დამოკიდებულ პირთა მიმართ არ გამოიყენება სასჯელი, ვინაიდან უფრო საშიშია რეპრესიული მიზნით დასჯა. სასჯელის გამოყენება ნარკოტიკებზე დამოკიდებულის მიმართ, არავის არ ეხმარება. ნარკოტიკზე დამოკიდებულის რესო-

ციალიზაციას თერაპია უფრო მეტად უწყობს ხელს.

პროფ. იორგ ქინციგმა გერმანული ნარკოტიკული სისხლის სამართლის კრიმინოლოგიურ ჟურნალში განხილვისას ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ლეგალური და არალეგალური ნარკოტიკების გამოყენება წარმოადგენს მარადიულ თემას საზოგადოებისთვის. გერმანიაში ალკოჰოლი და თამბაქო ლეგალურია, ხოლო ნარკოტიკი არალეგალური, რაც კრიმინალურპოლიტიკური დისკუსიის საგანია. როგორც მოხსენებაში აღინიშნა, ბოლო ათწლეულის განმავლობაში გერმანიაში ოფიციალურად რეგისტრირებულმა ნარკოტიკულმა დანაშაულმა იმატა, რაც კანაფთან დაკავშირებული დელიქტების მატებითაც არის განპირობებული. მომხსენებელმა მართებულად მიუთითა ნარკოტიკული დანაშაულების ზრდასთან და კლებასთან დაკავშირებით კონტროლის მნიშვნელობაზე. გარდა ამისა, გერმანული სამართლისა და პრაქტიკის მიხედვით, ნარკოტიკების მოხმარება ლეგალური და არალეგალური ქმედების ზღვარზეა. ნარკოტიკული დანაშაული უმეტესად ინვესს მალალი ზომით თავისუფლების აღკვეთის მისჯას. როგორც მოხსენების დროს ითქვა, კანაფის მოხმარება უფრო მეტად 18 დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებშია გავრცელებული. ბოლო 20 წლის მანძილზე კი კანაფის მოხმარება გაიზარდა 18 დან 59 წლამდე ასაკის პირებში. ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით განსაზღვრულ როლს ასრულებს პირველ რიგში ნარკოტიკების მომხმარებლის პიროვნება, ნარკოტიკების თვისება და ასევე საზოგადოება. რაც შეეხება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით გერმანიის მთავრობის სტრატეგიას, აღსანიშნავია: პრევენცია, მკურნალობა, ზიანის შემცირება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

პროფ. იორგ ქინციგმა მე-2 მოხსენება წაიკითხა თემაზე: „ორგანიზებული დანაშაული და ნარკოტიკული დანაშაულობა“, რომელშიც აღინიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულის ცნების ქვეშ დანაშაულის სხვადასხვა ფორმები განიხილება, რომელთაგან ერთ-ერთია ნარკოტიკული დანაშაული. ორგანიზებული დანაშაულის დეფინიცია, რომელიც კანონში არ არის მოცემული, მნიშვნელოვანია პოლიციის საქმიანობისთვის. როგორც მოხსენებაში ითქვა, ორგანიზებული დანაშაულის რიცხვმა გერმანიაში 1990 წლიდან იკლო. ორგანიზებული დანაშაულებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ნარკოტიკულ დანაშაულებზე მოდის. ორგანიზებულ

დანაშაულს კანონმდებელი მატერიალურ სისხლის სამართალში ებრძვის სანქციების გამკაცრებით, პირველ რიგში, ბანდების მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის. ორგანიზებული ნარკოტიკული დანაშაული ხასიათდება იმით, რომ იგი მიეკუთვნება იმ დანაშაულთა რიცხვს, რომელსაც მსხვერპლი არ ჰყავს.

ჰანოვერის პროკურატურის პროკურორმა დოქტორმა მარკუს პროისემ თავის პირველ მოხსენებაში, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის პრაქტიკიდან ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებულ დეკრიმინალიზაციის დისკუსიას შეეხებოდა, ისაუბრა ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით დეკრიმინალიზაციის და ლეგალიზაციის ტენდენციებზე, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის მარცხზე, ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულ ასპექტებზე, კანაფის ჭარბად მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებზე, როგორცაა: ტვინის ფუნქციონირების დარღვევა, ფსიქიკური დაავადების გამოწვევა: დეპრესია, ბიპოლარული დარღვევები, შიზოფრენია, ნარკოტიკებზე დამოკიდებულების გამოწვევის რისკი. მომხსენებლის მეორე მოხსენება მიეძღვნა პრაქტიკაში ნარკოტიკულ დანაშაულებთან ბრძოლის სირთულეებს, რომელშიც საუბარი იყო კონსპირაციულ მოქმედებებზე, ნარკოტიკული დანაშაულის ჩასაღწეად გასაიდუმლოებული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებაზე (მაგალითად ინტერნეტი), ნარკოტიკული დანაშაულის ორგანიზაციის მაღალ დონეზე და საერთაშორისო ქსელის მონაწილეობაზე. მომხსენებელმა ასევე განიხილა გამოძიების, მათ შორის ფარული საგამოძიებო მოქმედებების, დროს გამოყენებული მეთოდები (სატელეფონო თვალთვალი, ტელეკომუნიკაციის მონაცემთა გამოყენება) და მასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ: მაღალი ხარჯები, მონაცემთა შენახვის ვადები და ტექნიკური სახის პრობლემები.

ნარკოტიკული დანაშაულის შედარებითსამართლებრივ კვლევას და ნარკოტიკული დანაშაულების გეოგრაფიას მიეძღვნა თსუ თინათინ ნერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის პროფ. გიორგი ლლონტის მოხსენება, რომელმაც ისაუბრა ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით როგორც საქართველოში არსებულ, ისე გლობალურ საფრთხეზე და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაზე.

ნარკოტიკულ დანაშაულებსა და სისხლის სამართლის პოლიტიკაზე ჩატარებული ქართულ-გერმანული კონფერენცია მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ კონფერენციის თემა ბოლო პერიოდში აქტუალურია საქართველოში, არამედ იმ მხრივაც, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული სფერო ქართულ სისხლის სამართალში მეცნიერულად ნაკლებად არის დამუშავებული. ამდენად, ჩატარებული კონფერენცია, კონფერენციაზე ნაკითხული მოხსენებები მომავალში ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის ამ დარგის მეტად განვითარებას საქართველოში.

დაბოლოს, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ქართულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ფარგლებში, რაც კარგად წარმოაჩენს იმას, თუ როგორ მყარად ადგას უნივერსიტეტი იმ გზას, რომელსაც ერთი საუკუნის წინათ ჩაეყარა საფუძველი.

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის მეორე პროექტის მესამე სამუშაო შეხვედრის ანგარიში – 2018 წლის მარტი – სტრასბურგი (საფრანგეთი) და ტიუბინგენი (გერმანია)*

პაულ ანდრეას გლატცი, სამეცნიერო თანამშრომელი, ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი (იენა)

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის მეორე პროექტის ფარგლებში გამართული მესამე სამუშაო შეხვედრის მონაწილეები შეიკრიბნენ სტრასბურგსა (საფრანგეთი) და ტიუბინგენში (გერმანია). გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტი და მისი მხარდამჭერი – ფოლკსვაგენის ფონდი ამომწურავად არის წარმოდგენილი პროფესორ დოქ. ედვარდ შრამისა და პროფესორ დოქ. გიორგი თუმანიშვილის მიერ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის 2016 წლის მეორე გამოცემაში, 30-ე-31-ე გვერდებზე. მესამე სამუშაო შეხვედრა ჩატარდა ბათუმის საზაფხულო სკოლის შემდეგ, რომლის ანგარიში ხელმისაწვდომია გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის 2017 წლის მეორე გამოცემაში, 46-ე-48-ე გვერდებზე.

მესამე სამუშაო შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენდა საქართველოსა და გერმანიაში ევროპისა და ევროპული სამართლის ზეგავლენა ეროვნულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე. ამ კუთხით ევროპის შუაგულში მდებარე შეხვედრის ორივე ადგილი იყო შესაფერისი ტრიბუნა, რაც სამართლის ჰარმონიზაციისა და იურიდიული თანამშრომლობის ფარგლებში იქნა მიღწეული. სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ევროპული მართლმსაჯულებისა და ევროკავშირის ინსტიტუციებს სწეოდნენ. გარდა ამისა, მონაწილეებმა წარმოადგინეს და განიხილეს ამ ინსტიტუციების გავლენა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე.

გერმანული მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ პროფ. დოქტორ ბერნდ ჰაინრიხი (ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტი), რომელიც ასევე წარმოადგენდა ამ სამუშაო შეხვედრის ორგანიზატორს. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ ასევე პროფ. დოქ. ედვარდ შრამი (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი), პროფ.

დოქ. დოქ. h. c. ჰაინერ ალვარტი (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი), პროფ. დოქ. იორგ აიზელე (ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტი), სამართლის დოქტორი ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი) და სამართლის დოქტორი ანნეკე პეცზე (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი). შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ იოანა ანტონი, ნადია მიულერი და პაულ ანდრეას გლატცი, რომლებიც წარმოადგენენ პროფ. დოქ. ედვარდ შრამის სამეცნიერო თანამშრომლებს იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში, და ელიზბარ ნიჟარაძე, პროფ. ჰაინრიხის სტუდენტი ტიუბინგენის უნივერსიტეტში. ქართული მხრიდან სამუშაო შეხვედრაზე გაემგზავრნენ პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი (საქართველოს უნივერსიტეტი) და პროფ. დოქ. მერაბ ტურავა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე), აგრეთვე ქართველი დოქტორანტები ხატია თანდილაშვილი, თამარ გეგეშიძე, ნინო კუცია, ანა ნასრაშვილი და გიორგი მირიანაშვილი.

ორშაბათს, 2018 წლის 12 მარტს, ქართველი და გერმანელი მონაწილეები ჩავიდნენ სტრასბურგში. ქალაქის ისტორიულ ნაწილში ხანმოკლე გასეირნების შემდეგ შეხვედრის მონაწილეები ესტუმრნენ ევროპის პარლამენტს. ჯგუფი მიიღო ევროპის პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტმა ბატონმა რაინერ ვილანდმა (გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება – CDU). პარლამენტის შენობის ხანმოკლე დათვალიერების შემდეგ შეხვედრის მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ერთი საათის განმავლობაში ესაუბრათ ბატონ რაინერ ვილანდთან ევროპის პარლამენტის მიმდინარე საქმიანობაზე, მის მნიშვნელობაზე ევროპული იდეისა ჩამოყალიბებასა და მის გავლენაზე სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივ დაახლოებაზე. დღის ბოლოს სამუშაო ჯგუფი დაესწრო ევროპის პარლამენტის პლენარულ სხდომას, რათა გაცნობოდნენ პარლამენტის მუშაობის მეთოდსა და დისკუსიის ფორმატს.

* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა მარიკა ტურავამ.

სამშაბათი, 2018 წლის 13 მარტი, მიეძღვნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. სამუშაო ჯგუფს შეხვედრა ჰქონდა სასამართლოს დიდ და შთამბეჭდავ სხდომათა დარბაზში ორ მოსამართლესთან, კერძოდ კი გერმანიის წარმომადგენლად არჩეულ ქალბატონ პროფ. დოქ. ანგელიკა ნუსბერგერთან და საქართველოს წარმომადგენლად არჩეულ ბატონ პროფ. დოქ. ლადო ჭანტურიასთან. ორივე მოსამართლემ ისაუბრა თავის საქმიანობაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და მონაწილეებთან ინტენსიური დისკუსია გამართეს აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე სასამართლოს საქმიანობის კონტექსტში. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ვიზიტის შემდეგ მონაწილეები გაემგზავრნენ ტიუბინგენში.

ოთხშაბათს, 2018 წლის 14 მარტს, პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხმა შეხვედრის მონაწილეები მიიღო ტიუბინგენში. ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შენობის, სასწავლო აუდიტორიებისა და იურიდიული ბიბლიოთეკის ხანმოკლე დათვალიერების შემდეგ პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხმა გახსნა შეხვედრის სამუშაო ნაწილი ტიუბინგენის უნივერსიტეტის დიდი სენატის სხდომათა დარბაზში და სიტყვით გამოვიდა თემაზე „შესავალი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში“. პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხმა ისაუბრა ევროკავშირის სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლის შეპირისპირებაზე და განმარტება გააკეთა ევროკავშირის ევროპის საბჭოში დამოუკიდებელ სუბიექტად შესვლასთან დაკავშირებულ შესაძლო დადებით მხარეებსა და პრობლემებზე. დასკვნით დისკუსიაში განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ადგილი გერმანულ სამართალში. პროფ. დოქ. ჰაინრიხის გამოსვლის შემდეგ ქალბატონმა ხატია თანდილაშვილმა წარმოადგინა პრეზენტაცია თემაზე „ეფექტიანი გამოძიება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენის მიხედვით საქმეზე გირგვლიანი და ენუქიძე საქართველოს წინააღმდეგ“. საქმის გარემოებათა დეტალური წარმოდგენის შემდეგ მან სიღრმისეულად განიხილა ამ საქმეში დღემდე აღმოჩენილი ეფექტიანი გამოძიების პრინციპის დარღვევები. დასკვნით დისკუსიაში ქალბატონმა ხატია თანდილაშვილმა კიდევ ერთხელ გამოავლინა სიღრმისეული ცოდნა ამ საქმის სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებით.

შუადღის შესვენების შემდეგ სამართლის დოქტორი ანნეკე პეცზე მოხსენებით გამოვიდა თემაზე „რა ხდება შიშის შემდეგ? გერმანიის რეაქცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე პოლიციის მიერ დანაშაულის პროვოკაციასთან დაკავშირებით“. პირველ რიგში, მან წარმოადგინა სამართლებრივი მდგომარეობა გერმანიაში, რათა შემდგომ განემარტა ევროპული სასამართლოს მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი შედეგები პოლიციის მიერ დანაშაულის პროვოკაციასთან მიმართებით. საბოლოოდ დოქ. ანნეკე პეცემ გამოთქვა მხარდაჭერა ისეთი მართლმსაჯულების მიმართ, რომელიც მკაცრად ორიენტირებული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე. ამის შემდეგ მოხსენებით წარდგა დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი თემაზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულობა და იურიდიული ძალა – მხოლოდ წევრ სახელმწიფოთა შორის (inter partes) თუ მის ფარგლებს გარეთ (inter omnes)?“. მან ხაზი გაუსვა იმის აუცილებლობას, რომ გადაწყვეტილებებს ძალა უნდა ჰქონდეს წევრ სახელმწიფოთა ფარგლებს გარეთაც (inter omnes) და მხარდაჭერა გამოთქვა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობაზე. მიუხედავად ამისა, დასკვნით დისკუსიაში განხილულ იქნა გადაწყვეტილებების inter omnes მოქმედების შესაძლო ალტერნატივებიც.

პროფ. დოქ. მერაბ ტურავამ თავის მოხსენებაში ისაუბრა თემაზე „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გავლენა საქართველოში კონსტიტუციურ კონტროლსა და მართლმსაჯულებაზე“. მან წარმოადგინა საქართველოს განვითარების გზა ევროპულ საბჭოში განვერიანებამდე და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიკაციამდე. პროფ. ტურავამ, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ, წარმოადგინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სიღრმისეული ასპექტები და ისაუბრა ასევე სასამართლოს დამოკიდებულებაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიმართებაში. გრძელი სამუშაო დღის ბოლოს მოხსენება წარმოადგინა ქალბატონმა ნინო კუციამ თემაზე „უდანაშაულობის პრეზუმციის მნიშვნელობა საქართველოში და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი ნორმები“. მან ყურადღება გაამახვილა უდანაშაულობის პრეზუმ-

ციის განსაკუთრებულ გამოვლინებაზე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, რომელიც განიცდის ანგლო-ამერიკული სამართლის გავლენას.

ხუთშაბათს, 2018 წლის 15 მარტს, მოხსენებების დასკვნითი ნაწილი გაიხსნა პროფ. დოქ. ოიგ აიზელეს რეფერატით თემაზე „ნამების აკრძალვა გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლის შესაბამისად“. მან განსაკუთრებით შეაღწა ერთმანეთს ნამების აკრძალვა გერმანულ სამართალსა და ნამების აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში. ბოლო მოხსენებელი იყო პროფ. დოქ. დოქ. H. C. ჰაინერ ალვარტი თემით „ლიამედგობრივი მართლმსაჯულება: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და სამოსამართლო თვითშეზღუდვის პრობლემა 2012 წლის 12 აპრილის „ინცესტის გადაწყვეტილების“ მაგალითზე“. მან ყურადღება გაამახვილა სამართლის ფილოსოფიის ასპექტებზე. მან წარმოაჩინა კონსენსუსის პოვნის პრობლემა ევროპული საბჭოს ფარგლებში და აღნიშნა, რომ ინცესტთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი დასჯადობა ევროპული საბჭოს წევრ ქვეყნებში. პროფ. ალვარტი მხარდაჭერა გამოთქვა სამართლის მეცნიერების დამოუკიდებელი როლის გაზრდაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მართლმსაჯულების ფარგლებში.

სადილის შემდეგ და ქალაქ ტიუბინგენის ისტორიული ნაწილის მოკლე დათვალიერების შემდეგ წარმოდგენილ იქნა სახელმძღვანელოს აქტუალური მდგომარეობა, რომელიც მომავალ წელს უნდა გამოიცეს. მასში უნდა შეჯამდეს და აისახოს შედეგებითი სისხლის სამართლის პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნა.

პარასკევს, 2018 წლის 16 მარტს, შეხვედრის მონაწილეები ერთობლივად ესტუმრნენ ტიუბინგენტან ახლოს მდებარე ბებენჰაუზენის მონასტერს. შთამბეჭდავი ექსკურსიის შემდეგ ქართველი მონაწილეები გაემგზავრნენ საქართველოში, ხოლო გერმანელები დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ უნივერსიტეტებს.

სამუშაო შეხვედრა აერთიანებდა ორ შეხვედრის ადგილს, სტრასბურგსა და ტიუბინგენს. სტრასბურგში შეხვედრის მონაწილეებს ჰქონდათ საშუალება, მოენახულებინათ ევროპის პარლამენტი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართ-

ლო, ამ ინსტიტუციების წამყვანი წევრებისგან მიეღოთ განმარტებები მათი საქმიანობის შესახებ და განეცადათ, თუ რა ფარგლებში ხდება გადაწყვეტილების მიღება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში. ტიუბინგენში შეხვედრის სამეცნიერო ნაწილი ჩატარდა ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტის შენობაში. შეხვედრას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ასევე სახელმძღვანელოს სტატიების შემდგომ პროგრესზე.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხსა და მისი მიმართულების თანამშრომლებს, რომელთაც წარმატებით გაუწიეს ორგანიზება სამუშაო შეხვედრებს სტრასბურგსა და ტიუბინგენში. გარდა ამისა, განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის აგრეთვე ბატონ ელიზბარ ნიჟარაძეს, პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხის სტუდენტს ტიუბინგენის უნივერსიტეტში, რომელმაც სამუშაო შეხვედრის მანძილზე ქართველი მონაწილეებისათვის თარჯიმნის როლი შეასრულა.

გერმანულ-ქართულ სისხლის სამართლის პროექტის ბოლო შეხვედრა, სავარაუდოდ, გაიმართება 2019 წლის შემოდგომაზე თბილისში. პროექტის პარტნიორებს აქვთ მოლოდინი, რომ ამ სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მოხდება ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში არსებული ევროპული და საერთაშორისო სამართლის გავლენის გათვალისწინებით შექმნილი საბოლოო სახელმძღვანელოს წარდგენა აკადემიური წრისა და მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენელთა წინაშე.

საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ანგარიში, 17 ნოემბერი 2018, თბილისი*

სანდრა ბაუში, ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოს მისწრაფება, გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, არ წარმოადგენს საიდუმლოს. ამ მიზანთან ერთი ნაბიჯით დასაახლოებლად ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან მოვლენას, რითაც ხაზი გაესვა ინტეგრაციის ნებას, რაც წარმოადგენს ევროკავშირის წევრობისთვის აუცილებელ წინაპირობას და რისი არსებობაც დადასტურდა საქართველოში. სხვადასხვა ეროვნების დოქტორანტები სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებებიდან მოწვეული იქნენ თბილისში იმისთვის, რომ 2018 წლის 17 ნოემბერს მონაწილეობა მიეღოთ „Museum Hotel-ში“ გამართულ კონფერენციაში სახელწოდებით „ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები“. კონფერენცია ემსახურებოდა იმას, რომ ერთობლივად გამოგვეკვლია საქართველოს ინტეგრაციის პერსპექტივები და ამ სფეროში ჩვენი ქვეყნების გამოცდილება გაგვეზიარებინა საქართველოსთვის. კონფერენცია ორგანიზებული იყო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა (EEU) და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ხელშეწყობით. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა დოქტორანტურის 17 სტუდენტი ალბანეთიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, შვედეთიდან, უკრაინიდან და გერმანიიდან, ჯამში ექვსი ქვეყნიდან. კონფერენციას ხელმძღვანელობდა სამართლის დოქტორი დავით ჩერქეზიშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი, და პროფ. დოქ. მაკა იოსელიანი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი.

სტუდენტები საზღვარგარეთის უნივერსიტეტიდან თბილისში ჩამოვიდნენ კონფერენციის წინა დღეს. მათ შორის იყო პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი (ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტი), რომელსაც ნაშუადღევს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მოხსენება უნდა წარედგინა თემაზე „პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და ელიტური კორუფციის ფენომენი“. უკვე ჩამოსულ მონაწილეებს ერთობლივ სადილზე გუ-

ლითადი დახვედრა მოუწყო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ორივე ვიცე-რექტორმა, პროფ. დოქ. შალვა მაჭავარიანმა, ასევე თეა იმედაძემ და ერთ-ერთმა კოორდინატორმა (ამავდროულად კონფერენციის მონაწილემ) თათია ლერკენაშვილმა. საღამოს მონაწილეებს მიეცათ საშუალება, დამტკბარიყვნენ დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში გასეირნებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო თბილისში ჩემი პირველი ვიზიტი (თბილისს ვესტუმრე წინა წელს გერმანულ-ქართულ-სომხური დოქტორანტების სამუშაო შეხვედრის ფარგლებში¹), გამაოცა ამ საოცარმა ქალაქმა, რომელსაც ამშვენებს ქართლის დედის ძეგლი, პატარა ჩახლართული ქუჩები და არაერთი საინტერესო დეტალი, როგორცაა, მაგალითად, გასაოცარი მოზაიკა დახრილი საათის კოშკის ქვემოთ. ერთობლივ ტრადიციულ ქართულ ვახშამზე კონფერენციის ორგანიზატორებთან ერთად აღვნიშნეთ ჩვენი შეხვედრა.

მეორე დღით, ქალაქის ძველ ნაწილში მდებარე სასტუმროდან მონაწილეები მიიყვანეს პუნქტუალურად იმ სასტუმროში, სადაც ტარდებოდა კონფერენცია. სასტუმროში მისვლისას ადგილზე დამხვდა განსაკუთრებული სიურპრიზი, რადგან მომეცა საშუალება ჩემი პირველი სატელევიზიო ინტერვიუ მიმეცა. ნახევარსაათიანი მიღების ცერემონიისა და არაერთი მისასალმებელი სიტყვის შემდეგ დაიწყო სამუშაო პროცესი, რა დროსაც მონაწილეები ორ სამეცნიერო ჯგუფში გაგვანაწილეს. პირველი ჯგუფის თემატიკას წარმოადგენდა სამართლებრივი ჰარმონიზაცია. მეც ამ ჯგუფში გამანაწილეს. ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი და პროფ. დოქ. ნანა მაჭარაშვილი, წარმომადგენელი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის სკოლიდან. მეორე სამეცნიერო ჯგუფმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტის პროფესორ დოქ. გიორგი ლაღანიძის ხელმძღვანელობით, ყურადღება გაამახვილა ეკონომიკურ მეც-

* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა მარიკა ტურავამ.

¹ აღნიშნული სამუშაო შეხვედრის ანგარიში იხ.: Juristische Schulung (JuS) 5/2018, 21 f.

ნიერებათა საკითხებზე. თითოეულ ჯგუფში მონაწილეებმა მოკლე მოხსენება წარმოადგინეს მათ მიერ არჩეულ თემატიკაზე. ხშირ შემთხვევაში მათი მოხსენების თემა ეხებოდა მათი სადოქტორო კვლევის საკითხებს. მოხსენების თემები წინასწარ წერილობით მოკლე ანოტაციის სახით იქნა წარმოდგენილი, რომელიც ყველა მონაწილისათვის ხელმისაწვდომი იყო დაბეჭდილი კრებულის ფორმით. ის მოიცავდა მრავალ საკითხს, მაგალითად, მომხმარებელთა უფლებები, აღსრულების საშუალებები, კორუფციასთან ბრძოლა და ასევე ისეთი თემები, როგორცაა, სასურსათო პროდუქტების უვნებლობა, გამჭვირვალობა კორპორაციებში და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. მოხსენებებს მოსდევდა ძალიან ცოცხალი და ნაწილობრივ ემოციური დისკუსიის წრე, განსაკუთრებით, როცა თემა შეეხებოდა კორუფციას, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას ბევრი საბჭოთა კავშირის ყოფილი ქვეყნის განვითარების პროცესში. ღონისძიების დასასრულს მოხდა საზეიმოდ ორი გამარჯვებულის დაჯილდოება. ესენი იყვნენ ჩემი სამეცნიერო ჯგუფიდან ლევან გორელაშვილი მოხსენებით „ელექტრონული სახელშეკრულებო ურთიერთობები“, ხოლო ეკონომიკური სამეცნიერო ჯგუფიდან გამარჯვებული გახდა თამარ აბზიანიძე თემით „ბიზნესის გამჭვირვალობისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის გაზრდა როგორც ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი ნამყვანი ტენდენცია“. გარდა ამისა, ყველა მონაწილეს გადაეცა მონაწილეობის სერტიფიკატები. დატვირთული სამუშაო დღის ბოლოს ერთობლივი ვახშმის დროს გვექონდა შესაძლებლობა გაგვეხსენებინა განვლილი დღის მოვლენები, ასევე შევძელით ზოგიერთი სადისკუსიო საკითხი უფრო მეტად გაგვეღრმავებინა ვინაშნ წრეში და ასევე სხვა მონაწილეები პირადად უკეთ გავიცანით. კონფერენციის განმავლობაში დაწყებული პერსონალური კონტაქტები ჩემთვის წარმოადგენს დიდ შენაძენს.

საინტეგრაციო კონფერენციები არის მნიშვნელოვანი საშუალება კულტურული და პროფესიული გაცვლის, დიალოგისა და ერთიანი განვითარებისთვის. ჩატარებულ კონფერენციას მოჰყვა დადებითი გამოხმაურება. დოქტორანტებს ჰქონდათ შესაძლებლობა მათი მოხსენებების თანმდევი კონსტრუქციული დისკუსიებიდან მიეღოთ იდეები, რომელსაც ისინი აუცილებლად გამოიყენებენ თავიანთ მომავალ პუბლიკაციებში, რითაც ეს იდეები

ხელმისაწვდომი გახდება ბევრი სხვა მეცნიერისათვის. ზოგადად ახალი სამეცნიერო თაობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით კი დოქტორანტებისა, არის ძალზედ მნიშვნელოვანი სამეცნიერო კომპეტენციის ასამაღლებლად და ქვეყნის ინოვაციური ძალის გასაზრდელად. იმედს ვიტოვებ, რომ ეს კონფერენცია არ იქნება ამ სახის ბოლო ღონისძიება.